საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქიოლებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკარტისიბაგზე ესაძაგლესია.

პარასკევი, 8 სექტემბერი. 2023 წ. №102 (9634) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

რამდენი რამ გტკივა, თბილისო!

რეპორტაჟი
თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომიდან

საბა ბუაძისა და მისი მსგავსი მავნებელი არამზადების გასაგონად!

იხ. 5 გვ.

რუსეთმა ფუნდამენტური შეცდომა დაუშვა:

ერევანსა და მოსკოვს შორის დაძაბულობა ახალ ფაზაში გადადის

უკრაინელებმა რუსეთის საზღვარზე დროშა აღმართეს

უკრაინელმა მესაზღვრეებმა ხარკოვის ოლქის ორ დასახლებულ პუნქტში, რომლებიც რუსეთის საზღვართან მდებარეობს, უკრაინის დროშა აღმართეს. საუბარია დასახლებებზე სტროევკა და ტოპოლია. ამ სოფლებში შესვლა ნაღმების არსებობის გამო საშიში იყო, მაგრამ ახლა უკრაინელმა მესაზღვრეებმა ეს მოახერხეს. ხარკოვის ოლქში რუსული ძალები ბოლო დღეებში შეტევას ცდილობენ, ისინი კუპიანსკის მიმართულებით უტევენ.

ნეოლიბერალური იმპერიზმი



„იესო ქრისტე და გეი მოციქულები“

იხ. 6 გვ.

ჯო ბაიდენი:

ტრანსგენდერები ამერიკის შეერთებული შტატების სახეა!

ჩემი მიზანია, მთელ მსოფლიოში დავამკვიდრო ჰომოსექსუალიზმისადმი საზოგადოების ნორმალური დამოკიდებულება.

ბარაკ ობამა

ჟოზეფ ბორელი საქართველოშია!

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი უკვე თბილისშია. ჟოზეფ ბორელი ოფიციალურ შეხვედრებს დღეს დაიწყებს. ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივა და ამ კონტექსტში საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, ასევე გლობალური უსაფრთხოების საკითხები, – ეს არის თემები, რასაც ჯოზეფ ბორელის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში განიხილავენ.

ჯოზეფ ბორელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და საქართველოში ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი დახვდნენ. უმაღლესი რანგის შეხვედრები მას პრემიერთან, პრეზიდენტთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, ასევე პოლიტიკურ პარტიებთან ექნება. აუდიენცია შედგება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთანაც. გუშინ საღამოს ბორელმა პირველი კომენტარი მედიისთვის გააკეთა.

2023 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტები

იხ. 11 გვ.

ჩინეთის ელჩის პოზიცია საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე, ანაკლიასა და „შუა დერეფანზე“

თბილისში გამართულ ღონისძიებაზე ჩინეთის ელჩმა ჭოუ ციენმა, მათ შორის საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე, ანაკლიასა და „შუა დერეფანზე“ ისაუბრა.

რას ამბობს დიპლომატი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე?!

ჭოუ ციენი აცხადებს, რომ ჩინეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების ტექსტის შესახებ „ზოგიერთებს“ საზოგადოება „მიზანმიმართულად შეჰყავთ შეცდომაში“.

კითხვაზე, რატომ არ არის მკაფიო ჩანაწერი ჩინეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შესახებ ორ ქვეყანას შორის ახლად გაფორმებულ სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტში, დიპლომატმა განაცხადა:

„ვფიქრობ, რომ ეს გამიზნულად შეცდომაში შეყვანის მცდელობაა. ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ეს ორ მთავრობას შორის წარსულში გაფორმებულ არაერთ დოკუმენტშია აღნიშნული. აქვე ყურადღებას გავამახვილებდი იმაზე, თუ რატომ უჭერს მხარს საქართველო „გლობალური უსაფრთხოების ინიციატივაას“. აღნიშნული იმიტომ ხდება, რომ ინიციატივის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გაეროს წესდების პატივისცემაა. ეს ნიშნავს, რომ ჩინეთი პატივს სცემს ყველა ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. სწორედ ამიტომაა საქართველო „გლობალური უსაფრთხოების ინიციატივის“ წევრი. შესაბამისად, იმაზე საუბარი რომ დოკუმენტში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მოხსენიებული არაა, გამიზნულად შეცდომაში შეყვანაა“, – განაცხადა ჭოუ ციენმა.

ჟურნალისტების დამზუსტებელ კითხვაზე, ჩინეთი აღიარებს თუ არა, რომ ეს ტერიტორიები ოკუპირებულია, ელჩმა თქვა:

„ჩინეთი ყოველთვის აღიარებდა საქართველოს ტერიტიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს ისე, როგორც ამას გაერო აღიარებს“.

კიდევ ერთ კითხვაზე, მაშ რატომ არ არის ეს ასახული პარტნიორობის შეთანხმებაში, დიპლომატმა აღნიშნა:

„მხოლოდ იმიტომ, რომ ამას უკვე გულისხმობს გლობალური უსაფრთხოების ინიციატივა“.

მისივე თქმით, ორ ქვეყანას შორის შეთანხმება სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ნიშნავს, რომ ორმხრივი ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა: **„ეს ნიშნავს მეტ ინვესტიციებს, კონტაქტებს, განსაკუთრებით ეს ეხება „შუა დერეფანს“, „ერთ გზას და ერთ სარტყელს“, რომელიც გაძლიერდა ახალ დონემდე. ჩემი აზრით, ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩინეთისთვის, არამედ საქართველოსთვისაც“.**

* * *

გარდა ამისა, დიპლომატმა აღნიშნა, რომ „შუა დერეფანი“, რომელიც ითვალისწინებს ტვირთების გადაზიდვას ჩინეთიდან ევროპაში, ყაზახეთის, კასპიის ზღვის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით, მნივნელოვანია ჩინეთ-ევროპის ლოჯისტიკისთვის:

* * *

ამასთან, ელჩმა განაცხადა, რომ პეკინს ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის, მათ შორის ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მიმართ აქვს ინტერესი:

„ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის მიმართ გვაქვს ინტერესები, თუკი კარგი პირობები გვექნა, ვფიქრობ, არანაირი პრობლემა არ იქნება, რომ ჩინური კომპანიები ჩაერთონ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისა თუ სხვა პროექტებში“.

საქართველომ და ჩინეთმა სტრატეგიული პარტნიორობა 2023 წლის ზაფხულში დაამყარეს. შეთანხმების პირველსავე პუნქტში წერია, რომ მხარეები ადასტურებენ პატივისცემას „ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი“.

ამას მოსდევს ჩანაწერი, რომლის თანახმადაც „საქართველო მტკიცედ ემხრობა ერთიანი ჩინეთის პრინციპს“, – ანუ აღიარებს, რომ ტაივანი, – რომელიც 1949 წლიდან კონტინენტური ჩინეთისგან დამოუკიდებლად იმართება, – ჩინეთის განუყოფელი ნაწილია და მიანიშნებს, რომ ემხრობა ჩინეთის გაერთიანებას.

ექსპერტების თქმით, საქართველომ საპასუხოდ ვერ მიიღო ჩანაწერი, რომელიც ცხადად იტყოდა, რომ ჩინეთი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, რაც მიანიშნებდა ჩინეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოს ნაწილად მოაზრებას.

საქართველოსგან განსხვავებული ჩანაწერი გვხვდება 2021 წელს დადებულ სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებაში ჩინეთსა და კვიპროსს შორის. რომელშიც აღნიშნულია შემდეგი:

„კვიპროსი ადასტურებს, რომ მტკიცედ ემხრობა ერთიანი ჩინეთის პრინციპს“; ჩინეთი კი პირობას დებს, რომ „გააგრძელებს კვიპროსის ძალისხმევის მხარდაჭერას მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და მხარს დაუჭერს კვიპროსის პრობლემის ყოვლისმომცველ, სამართლიან და გრძელვადიან გადაწყვეტას გაეროს შესაბამისი რეზოლუციებისა და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში“.

„აქცენტი“

...რომ ექთანს საქართველოდან არ დასჭირდეს ლოდინი!

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი ბუნდესტაგში სიტყვით გამოსვლისას გამოვიდა მოწოდებით, შესრულდეს კვალიფიციური მუშახელის იმიგრაციის კანონი, რომ „ექთანს საქართველოდან და IT-სპეციალისტს ინდოეთიდან არ დასჭირდეს თვეების განმავლობაში ლოდინი ვიზისთვის ან მუშაობის ნებართვისთვის“.

კანონი, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში დაამტკიცეს, 2024 წლის მარტში უნდა ამოქმედდეს. ის გერმანიაში კვალიფიციური კადრების იმიგრაციის პროცედურის გამარტივებას ითვალისწინებს. ბუნდესტაგში გამოსვლისას ოლაფ შოლცმა აღნიშნა, რომ 2035 წლისთვის გერმანიაში 13 მილიონი დასაქმებული გავა პენსიაზე. კანცლერის თქმით, სამუშაო ძალის ნაკლებობა კომპანიებისთვის გამოწვევას წარმოადგენს.

„მოგიწოდებთ ყველას, რომ კვალიფიციური მუშახელის იმიგრაციის შესახებ კანონი, რომელიც უკვე დამტკიცებულია, განხორციელდეს ყველგან გერმანიაში, რათა ჩვენ გვქონდეს არაბიუროკრატიული შესაძლებლობები, რომ ექთანს საქართველოდან და IT-სპეციალისტს ინდოეთიდან არ დასჭირდეს თვეების განმავლობაში ლოდინი ვიზისთვის ან მუშაობის ნებართვისთვის“, – განაცხადა ოლაფ შოლცმა.

პრემიერი მხოლოდ საკუთარი ხარჯებით მგზავრობს!

საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით, მიზანმიმართულად ვრცელდება ცრუ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შვილთან ერთად აშშ-ში, თბილისდა ჩარტერული რეისით გაემგზავრა, – ამის შესახებ აღნიშნულია მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„საზოგადოების ინფორმირების მიზნით განვმარტავთ, რომ პრემიერ-მინისტრი როგორც ოფიციალური და სამუშაო, ისე კერძო ვიზიტების დროს აშშ-ში მგზავრობს სამგზავრო თვითმფრინავით, სხვადასხვა ავიაკომპანიის რეგულარული, კომერციული რეისებით. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ საუბარი იყო ჩარტერულ ფრენაზე, რომელიც განხორციელდა თბილისიდან ევროპის ერთ-ერთი ქალაქის მიმართულებით, ხოლო აშშ-ის მიმართულებით პრემიერ-მინისტრი რეგულარული რეისით გაემგზავრა. კერძო ვიზიტისას პრემიერ-მინისტრის მგზავრობის, ასევე ჩარტერული (კომერციული) რეისის თუ ნებისმიერი სხვა ხარჯი სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ გაწეულა“!

ირაკლი კობახიძე: ისეთი დაშლილია „ნაციონალური მოძრაობა“, რომ შეიძლება ელიავაზეც არ ჩაიბარონ!



„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ არის პირდაპირ რისკფაქტორი ქვეყნის სტაბილურობისთვის და დემოკრატიული სისტემისთვის, – ამის შესახებ კობახიძემ გადაცემაში „იმედი LIVE“ განაცხადა.

„გუშინ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დეპუტატი აცხადებდა, რომ „ქართული ოცნება“ ვერ მიაღწევს „ნაცმოძრაობის“ დაშლას. მართლა უნდა გაგეცინოს, იმიტომ, რომ ისეთი დაშლილია უკვე „ნაციონალური მოძრაობა“, შეიძლება ელიავაზეც არ ჩაიბარონ.

„სულ სამნი იყვნენ და ვაშაძე გამოეყო ზურა ჯაფარიძესა და ელენე ხოშტარიას. ანუ ერთი კაცი გამოეყო ორ კაცს, ამ დონეზე არის დაშლილი კოლექტიური „ნაცმოძრაობა“. იქ „ევრონაცები“, აქეთ „ნაცები, იქით „ლელო“ – საერთოდ გაუგებარი პარტია თავისი საბა მუაძით და სხვებით... წარმოუდგენელი რამ ხდება კოლექტიურ „ნაცმოძრაობაში“ და ძალიან კარგი პროცესები ვითარდება სამოლოო ჯამში, რაც ჩვენ უფრო გვიმყარებს პოზიციებს და, რაც მთავარია, ჩვენს სახელმწიფოს უმყარებს პოზიციებს.

კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ არის პირდაპირ რისკფაქტორი ჩვენი ქვეყნის სტაბილურობისთვის, დემოკრატიული სისტემისთვის, ყველაფრისთვის, რაც უკავშირდება ამ ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარებას. რაც უფრო მეტად დაიშლება კოლექტიური „ნაცმოძრაობა“, რა თქმა უნდა, მით უკეთესი“, – აცხადებს კობახიძე.

ნინო ლომჯარიამ ახალი პლატფორმა „სოროსის ფონდის“ დაფინანსებით შექმნა!

– ამის შესახებ ტვ „იმედის“ სიუჟეტშია ნათქვამი. სიუჟეტის თანახმად, ნინო ლომჯარიას საზოგადოებრივ ამბიციებს ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ აფინანსებს.

აქვე აღნიშნულია, რომ ყოფილი ომბუდსმენი უახლოეს მომავალში ფინანსურ წყაროებს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდანაც ელოდება.

„ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ ამ პლატფორმის მეშვეობით ჩვენი ნაბიჯებით, აქტივობებით, იმ პროდუქტით, რასაც ჩვენ შევქმნით მოვახდინოთ ზეგავლენა საჯარო პოლიტიკურ დისკურსზე. ჩვენ არ ვგეგმავთ, რომ ეს პლატფორმა, ან ეს ორგანიზაცია გარდაიქმნას, ან ტრანსფორმირდეს, ან გახდეს პოლიტიკური მოძრაობა, ან პოლიტიკური ორგანიზაცია“, – აცხადებს ნინო ლომჯარია.



სააკაშვილი პარტიის წევრებს „განულებით“ ემუქრება, თავისი მომხრეები კი მიჯას ზედ არ უყურებენ!

ენმ-ში შესაძლოა დაპირისპირების ახალი ფრონტი გაიხსნას. ახლა პარტიაში იმას არკვევენ, ვის ემუქრება მიხეილ სააკაშვილი განულებით. ვის გულისხმობს „ვივა მედიდან“ გამოგზავნილ წერილში, როცა ამბობს, რომ პარტიიდან წასვლის შემთხვევაში ის გიგა ბოკერიას გზას გაიმეორებს და მასავით პოლიტიკურად განულდება. ექსპრეზიდენტი არ აკონკრეტებს ვისზეა გაბრაზებული, თუმცა, ფაქტია, რომ ამ ხნის განმავლობაში, პარტიაში დაპირისპირების მიუხედავად, ასეთი პირდაპირი განცხადება სააკაშვილს აქამდე არ გაუკეთებია.

ალბათ, რთული მისახვედრი არ არის, რომ ის ნიკა მელიას გულისხმობს, რომელმაც შესაძლოა პარტია სწორედ შემოდგომაზე დატოვოს. თუმცა ვრცელდება ხმები, რომ **ნიკა მელია** „მთავარი არხის“ დამფუძნებელ **ნიკა გვარამიასთან** ერთად პოლიტიკურ ალიანსში ვიხილოთ. მით უმეტეს ამ ეჭვებს ის ფაქტიც ამყარებს, რომ „მთავარი არხის“ დირექტორმა **გიორგი გამუნიამ** განაცხადა, რომ ტელევიზია პარტიული აღარ იქნება და მისი ენმ-თან ასოცირება აღარ მოხდება. ამ ყველაფერს სააკაშვილის წერილიც დაერთო, რომელიც ენმ-ში მიმდინარე უმძიმეს მდგომარეობას კიდევ უფრო ნათელს ხდის.

ვის გულისხმობს სააკაშვილი „ბოკერიას გზის“ პოლიტიკოსებად? როგორც ფრაქცია „აციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **თინა ბოკუჩავა** ამბობს, ეს უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

მელიას – ენმ-ის ყოფილი თავმჯდომარის თანამოაზრეს, **ბაჩო დოლიძეს** არ აქვს ინფორმაცია, ვისზეა საუბარი სააკაშვილის სტატუსში.

თუმცა, როგორც დოლიძე ამბობს, თუ საქართველოს მესამე პრეზიდენტი ნიკა მელიას გუნდს გულისხმობს, მაშინ მას არ მოსწონს კომუნიკაციის ეს ფორმა, როგორიც სააკაშვილმა აირჩია. მიხეილ სააკაშვილს სურვილის შემთხვევაში შეუძლია მათ ეკონტაქტოს პირადად წერილების საშუალებით და ასე გაცვალონ პოზიციები.

„ის, რომ თითოეული ადამიანის წასვლა პარტიიდან არის პრობლემა და შესაძლოა იყოს პრობლემა, ეს ერთია, მაგრამ მეორეა, როგორ გამოხატავ ამ ყველაფერს. თუ ჩვენ გვგულისხმობდა ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ვისურვებდი, რომ გამოხატვის ფორმები ცოტა სხვა ყოფილიყო, ელემენტარული კომუნიკაციის საშუალება არის თუნდაც წერილობით და აზრების გაცვლა-გამოცვლა სავსებით შესაძლებელია ამ ფორმით,“ – ამბობს ბაჩო დოლიძე.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** for.ge-სთან ფიქრობს, რომ მიხეილ სააკაშვილის წერილის ადრესატი, დიდი ალბათობით, ნიკა მელიაა. ძაბირაძე მიიჩნევს, რომ შესაძლოა, სააკაშვილს შიდა კულუარული ინფორმაცია აქვს, რომ მელია უხალოეს პერიოდში პარტიის დატოვებას გეგმავს. ის არც იმას გამორიცხავს, რომ შესაძლოა, სააკაშვილი მელიას და გვარამიას მიერ საერთო პოლიტიკური ძალის შექმნას ეჭვობდეს და წინასწარ გაოფრთხილა.



„ძალიან საინტერესო პროცესები შეიძლება ენმ-ის ირგვლივ განვითარდეს და ვფიქრობ, რომ ნიკა მელია რაღაცას აპირებს. სააკაშვილს, როგორც ჩანს, ამაზე ინფორმაცია მიაწოდეს და მანაც წინმსწრები განცხადება გააკეთა. ალბათ, ახლა იმაზე სერიოზულად არის ვითარება, ვიდრე აქამდე იყო. მე უფრო ვფიქრობ, რომ ნიკა მელია და ნიკა გვარამია შესაძლოა ერთ პოლიტიკურ ძალად ვიხილოთ. ამ სცენარსაც არ გამოვრიცხავ. მით უმეტეს, ტელეკომპანიის დირექტორის გიორგი გამუნიას განცხადებები ტელევიზიის დამოუკიდებლობის და მის არდაფინანსების შესახებ, ძალიან საინტერესოდ ემთხვევა დროში ერთმანეთს.

თუმცა, არც ის გამოვრიცხოთ, რომ პარტიის გაერთიანების მიზნით, ყველასთვის მისაღები ფიგურა ყოფილიყო, პარტიის თავმჯდომარეობიდან ლევან ხაბეიშვილის გადაყენება და მის ადგილას ნიკა გვარამიას დანიშვნა. შესაძლოა, სააკაშვილის წერილიც ამის პათოსი იყოს. ყველა ხედავს, რომ ხაბეიშვილის თავმჯდომარეობა რეალურად პარტიაში არავის მოსწონს. ამ ფორმით არჩევნებზე გასვლა, ან თუ ორად გაიყო, ეს იქნება ძალიან მძიმე პარტიისთვის. რაც კი ამდენი ხნის განმავლობაში პრობლემები ჰქონია ენმ-ს, ვფიქრობ, ახლა ყველაზე რთულ სიტუაციაში შესაძლოა აღმოჩნდეს. ამას სააკაშვილი შესანიშნავად ხვდება, ამიტომაც აფრთხილებს მათ“, – ამბობს ძაბირაძე.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** კი ფიქრობს, რომ მიხეილ სააკაშვილს შესაძლოა მიაწოდეს ინფორმაცია, რომ მელია პარტიის დატოვებას ფიქრობს და ის გააფრთხილა. საყვარელიძე მიიჩნევს, რომ სააკაშვილისთვის ახლა მელია უფრო დიდი საფრთხის მატარებელია, ვიდრე ნიკა გვარამია. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მელიას პარტიაში მხარდამჭერები ჰყავს და ენმ-ის ელექტორატის ნაწილს გაიყოლებს, თუ წასვლა გადაწყვიტა. მით უმეტეს, თუკი მელია და გვარამია ერთად აღმოჩნდნენ, უფრო დიდი ძალა იქნება.



„სააკაშვილს ვეთანხმები იმაში, რომ ვინც მისგან წავიდა და ცალკე პოლიტიკური თამაში გადაწყვიტა, ყველა ნამდვილად ბოკერიას გზას დაადგა. ფაქტი ერთია, რომ ენმ-ის ამომრჩეველი მხოლოდ სააკაშვილის ელეტორატია და მის გარდა პარტიაში ავტორიტეტს არავინ წარმოადგენს. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ ნიკა მელია არაფერია და პარტიიდან წასვლის შემთხვევაში პარტიას არ დააზიანებს.

მას შეუძლია პარტია ორად გახლიჩოს და ეს იმაზე მტკივნეული იქნება, ვიდრე ეს ბოკერიას და მისი გუნდის წასვლისას მოხდა. საქმე კი ისაა, რომ სააკაშვილს თავად დაუვარდა რეიტინგი და მისი მომხრეებიც კი ზედ არ უყურებენ“, – ამბობს **საყვარელიძე.**

ლიკა ბერიკაშვილი

გახარია ორსახა იანუსია, ხაბეესთან და ჭიჭესთან ერთად ივანიშვილის სანქცირებას ითხოვს

„გახარიას პარტია მესიჯბოქსში ხშირად იყენებს სიტყვას – ნაცქოცური, ამ დროს სადაც შეუძლიათ, საკრებულოში „ნაცმოძრაობასთან“ კოალიცია აქვთ დალაგებული. წარმოიდგინეთ, პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც იმ საკრებულოებში, სადაც წარმომადგენლები ჰყავს, კოალიცია აქვთ დალაგებული „ნაცმოძრაობასთან“ და „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებით „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირზე ლაპარაკობენ ხოლმე. შენ კოალიცია გქონდეს ვიღაცასთან დალაგებული და იმასთან კონტაქტს “ქართულ ოცნებას“ აბრალებდე, ამას გაწყვეტილი შუბლის ძარღვი ვერ იზამს, გაგლეჯილი უნდა იყოს.

ამიტომ, არ გამკვირვებია ინფორმაცია, რომ გიორგი გახარია მივიდა ვაშაძესთან და ხაბეიშვილთან ერთად. კი არ მივიდა, სულ მათთან ერთად არის და მათთან ერთად ითხოვს ხან საქართველოს, ხან იმ ადამიანების დასანქცირებას, ვისაც ამ ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურება აქვს, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის.

რაც მეტი დამსახურება აქვს ადამიანს ქვეყნის წინაშე, მით უფრო მძლავრია მათი მცდელობის ხარისხი, დასანქცირდეს ასეთი ადამიანი. რაც უფრო ქართველი ხარ მენტალურად, მით უფრო გებრძვიან, რაც უფრო მეტად ცდილობ, შენს ქვეყანაში მიიღებოდეს შენი ქვეყნის შესახებ გადაწყვეტილებები, მით უფრო გებრძვიან და გემუქრებიან სანქციებით. ამ შედეგებზე ზრუნავენ, მაგრამ ვერ მიაღწევენ, რადგან არ შეიძლება, საქართველოში ქართველმა ხალხმა დაუშვას, რომ ლიდერი იქნება თუ სხვა ნებისმიერი ადამიანი, დაიჩაგროს იმის გამო, რომ მას პრიორიტეტად აღებული ჰქონდა ეროვნული ინტერესი.

მიუხედავად ათასგვარი სპეკულაციური დაბრალებისა, მას პრიორიტეტად ჰქონდა რეალური და ჭეშმარიტი ევროპელობა, პრიორიტეტად ჰქონდა აღებული ღირებულება. ამისთვის ვერ დავიჩაგრებით და ვერ დავისჯებით. რა თქმა უნდა, არის ამის მცდელობები და ამ მცდელობაში თანამონაწილე, თქვენი ინფორმაციის თანახმად, აღმოჩნდა გიორგი გახარიაც.

გიორგი გახარია რომ ბიძინა ივანიშვილის დასანქცირებას ითხოვს, ამას პარადოქსიც არ ჰქვია, ამას ქვია რაღაცის პიკი, რასაც ჩვეულებრივ, ისეთ სიტყვას ვერ დაარქმევ, რაც კამერის წინ ითქმება“, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, აშშ-ის სენატის საგარეო კომიტეტის აპარატის უფროსთან შეხვედრაზე, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ბიძინა ივანიშვილის სანქცირებას განიხილავდნენ, გიორგი გახარიაც მივიდა.

ეს ყველაფერი იმ ჟანრიდანაა გახარია მიშას რომ შეხვდა ამერიკაში და „კოკაინშიკი“ რომ არის!..

პარტია „საქართველოსთვის“ წევრის, **მიხეილ დაუშვილის** განცხადებით, გიორგი გახარია აშშ-ის სენატის საგარეო კომიტეტის აპარატის უფროსს, კრის სოჩას დამოუკიდებლად შეხვდა და არა „ნაციონალური მოძრაობის“ ან სხვა პარტიის წევრებთან ერთად.

მისივე თქმით, პარტნიორები ქვეყნის ან მოქალაქის მიმართ ნებისმიერ სანქციას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებენ, თუ ამისთვის კონკრეტული საფუძველი ექნებათ.

„რეალობა ისაა, რომ გიორგი გახარია იმ სასტუმროში მისული იყო იმისათვის, რომ შეხვედრა უნდა გამართულიყო. ეს შეხვედრა არ იყო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთან ან სხვა პარტიის წევრებთან ერთად. ფაქტობრივად, თავად, დამოუკიდებლად შეხვდა. ეს ყველაფერი იცით, რომელი ჟანრიდან არის? თითქოს, ამერიკაში გიორგი გახარია მიხეილ სააკაშვილს სასტუმროში რომ შეხვდა, „კოკაინშიკი“ რომ არის. ეს იაფფასიანი ტყუილებია. გიორგი გახარიამ რაზე ისაუბრა, ამაზე ხომ არ ვსაუბრობთ? იმის თქმა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთან ერთად შეხვდა და ქვეყნის სანქცირებას ითხოვდა – ტყუილსაც ხომ რაღაც საზღვარი უნდა ჰქონდეს?“ – განაცხადა მიხეილ დაუშვილმა.

სერიოზული საუბარი ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციაზე დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე გადაანგარიშებით 10 000 დოლარს ასცდება. მანამდე ევროკავშირი არ იჩქარებს ჩვენს მიღებას, ვინაიდან, პირველ რიგში, ევროკავშირი ეკონომიკური პროექტია“, – აცხადებს ანალიტიკოსი დავით გარდიაშვილი.

უახლოეს მომავალში ევროკავშირში ჩვენი დამკვიდრება გამორიცხულია, თუმცა კანდიდატის სტატუსი საკუთარი თავის რწმენის აღდგენაში დაგვეხმარება

– პოლონეთის პრეზიდენტმა ანდუი დუდამ ახლო აღმოსავლეთიდან მიგრანტების მიღების თაობაზე რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვა. მის საუბარს ფონად გასდევდა, თუ როგორ წვავდნენ მანქანებს მიგრანტები. მიგრანტების ტალღამ ევროპას ერთხელ უკვე გადაუარა, როცა ევროპაში აღმოჩნდნენ სირიელი, ავღანელი და ერაყელი დევნილები. ესაა ევროკავშირში ყოფნის საფასური და ევროკავშირის მხრიდან თავსმოხვეული „ტოლერანტული“ პოლიტიკა. სავარაუდოდ, მიგრანტების საწინააღმდეგო ტალღა ახლა უკვე ჩეხეთს, სლოვაკეთს, უნგრეთს ჯაჭვური რეაქციით გადაეცემა. რაში სჭირდება ევროკავშირს ასეთი ნაღმები თავის წევრ სახელმწიფოებში?! თვით საქართველო, რომელიც ჯერ კიდევ ევროკავშირის წევრი არ არის, დაცულია თუ არა მიგრანტების შემოსევისგან?

– ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა ევროკავშირში, რაც განაპირობებს განსხვავებულ პოზიციებს თვითონ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. პირველ რიგში, ეს გამოიხატება ემიგრანტების მიღებასთან დაკავშირებით უარყოფით დამოკიდებულებაში. ამ მხრივ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია აქვს პოლონეთსაც და უნგრეთსაც. ხანდახან ავსტრიაც გამოირჩევა მკვეთრი პოზიციით. მუნებრივია, ეს იწვევს უკმაყოფილებას ევროკავშირის ღირებულებების მიმართ. მოგეხსენებათ ევროკავშირის პოზიცია გახლავთ მულტიკულტურიზმი და გახსნილი საზღვრები. მისი პოლიტიკა ლიბერალური პოლიტიკური კურსია!

– მართალია, საქართველო მიიწევს ევროკავშირისკენ, მაგრამ ბრიტანეთი სკანდალით, ბრექსიტით გაეყარა ევროკავშირს. ეს ნიშნავს, რომ ბრიტანელები მიხვდნენ, ევროკავშირი მათ აბრკოლებდა?

– ბრიტანული პოლიტიკური თუ სამართლებრივი სისტემა იმთავითვე ძალზე განსხვავებულია კონტინენტური ევროპისგან და ძნელად თუ შეეგუებოდა ევროკავშირის ბიუროკრატიულ უნივერსალიზმს, საკუთარი ტერიტორიული იურისდიქციის შეზღუდვას. საბოლოო ჯამში ეს გახდა კიდეც ევროკავშირიდან ბრიტანეთის, როგორც დამოუკიდებელი და მძლავრი მოთამაშის გასვლის მთავარი მიზეზი. აქ უნდა გავიხსენოთ აწ გარდაცვლილი, ცნობილი ბრიტანელი კონსერვატორი მოაზროვნე **როჯერ სკრუტონი**, რომელიც ევროპული ბიუროკრატიის და მისი წესების უნივერსალიზმს სრულიად მიუღებლად მიიჩნევდა არა მხოლოდ ბრიტანეთისთვის, არამედ ზოგადად – თავისუფალი ევროპელი ერებისთვის. იგი ემხრობოდა ევროპას, როგორც თავისუფალი ერების კავშირს, იმ ერი-სახელმწიფოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ თანამშრომლობას, რომლებიც ბოლომდე ინარჩუნებენ საკუთარი ტერიტორიული იურისდიქციის ხელშეუხებლობას და მკაცრად აფრთხილებდა ყველას, რომ ზღვარდაუდებელი უნივერსალიზაცია და ბიუროკრატიზაცია, რასაც ბრიუსელი მისდევდა და დღესაც მისდევს, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა თავისუფალ ევროპელ ერებს. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, ამ საკითში ბრიტანეთმა სწორედ ცხონებულ როჯერ სკრუტონს დაუჯერა.

– ბოლო დროს გვესმის, რომ ევროპამ საკუთარი თავის რეკონსტრუქცია უნდა შეძლოს და ახლა გაფართოების დრო არ არის. მით უმეტეს, რუსეთის მზარდი აგრესიისა და უკრაინის ომის ფონზე ევროპის პოზიციები სუსტდება. შეიძლება, ერთ დღესაც ევროპამ საქართველო და უკრაინა დაუთმოს რუსეთს. არც ის არის გამორიცხული, რომ სამომავლოდ ნატომაც ამოწურეს საკუთარი თავი და ევროკავშირმაც. ეს მაკრონმაც დაადასტურა, როცა თქვა: „ევროპა დაღუპვის პირასაა და უნდა იფიქროს საკუთარ თავზე, როგორც ერთიან გეოპოლიტიკურ ძალაზე, დროა, ევროპამ გაიღვიძოს“. ევროპის ასეთ აპოკალიფსურ სცენარს გამორიცხავთ?

– საბოლოო ჯამში, რა განვითარებას მიიღებს ევროკავშირში შემავალი ქვეყნები, ამის განჭვრეტა რთულია. მაგალითად, საფრანგეთი ითხოვს ევროკავშირი მეტ-ნაკლებად დისტანცირდეს შეერთებული შტატებისგან. მაკრონის ნათქვამი გავიხსენოთ, „პარტნიორობა ვასალობას არ ნიშნავს“. ევროკავშირში სახელმწიფოების რამდენიმე ბლოკი იკვეთება, რომელთაც ურთიერთგანსხვავებული საერთო ინტერესები ამოძრავებთ. მაგალითად, ჩრდილოეთის ბლოკი, რომელიც განსაკუთრებული ანტირუსული პოლიტიკით გამოირჩევა, ეს არის ბრიტანეთის დომინაციით შემოკრებილი ქვეყნები, რომლებიც რუსეთის მიმართ ბრიტანეთის ხისტ პოლიტიკას უფრო მისდევს, ვიდრე საკუთრივ ევროკავშირისას.

საუბარია უწინარესად პოლონეთზე და ბალტიის სახელმწიფოებზე, ნაწილობრივ – სკანდინავიის ქვეყნებზე. ისინი რუსეთის მიმართ უკომპრომისოდ მტრული პოლიტიკით გამოირჩევიან. საინტერესოა, რომ ევროკავშირის მომავლის მიმართ რამდენიმე შეხედულება არსებობს, მაკრონი ვახსენეთ და მისი ცნობილი გამონათქვამი, რომ უნდა დისტანცირდეს ევროკავშირი შეერთებული შტატებისგან, მისი ჩრდილიდან გამოვიდეს და გახდეს დამოუკიდებელი მოთამაშე, მეტი ავტონომიით. ამ თვალსაზრისით ევროკავშირი უნდა განვითარდეს, როგორც ცალკე პოლიტიკური სრულფასოვანი სუბიექტი და მას უნდა ჰქონდეს თავისი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა, მისი საგარეო პოლიტიკაც მეტ-ნაკლებად ავტონომიური და შტატების ინტერესისგან განსხვავებული უნდა გახდეს.

ასევე, ევროკავშირის შიგნითაც არსებობს ანგლოსაქსური საგარეო-პოლიტიკური მიდგომა, რომელიც ორნაირია: ამერიკულ-ბრიტანული და ბრიტანულ-ამერიკული, გააჩნია, რომელი ქვეყნისთვის რომელი ინტერესი დომინირებს. არსებობს, ასევე, ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების განწყობა – ავსტრია, უნგრეთი, ნაწილობრივ იტალია; გარკვეული ქვეყნების ისეთი ინტერესებიც არსებობს, რომელიც ცალკე ბრიუსელს უპირისპირდება, ცალკე ბრიტანულ ინტერესებსაც და ცალკე ფრანგულსაც. მოკლედ, საკმაოდ რთული მდგომარეობაა.

– ყველა ამ ფაქტორიდან გამომდინარე, შეიძლება ცალკეულმა ადამიანებმა იფიქრონ, გვიღირს კი ასეთ ევროკავშირში გაწევრება, სადაც მხოლოდ თავსმოხვეული „ღირებულებებია“ და, სადაც თვითონაც ვერ ჩამოყალიბებულან, საქართველოს მიმართ რა პოზიცია დაიკავონ?

– ამას დრო გვიჩვენებს. ჩვენი მდგომარეობა ასეთია, ცხადია, ჩვენ გვჭირდება ევროპასთან ინტეგრაცია, რაც განვითარების სრულიად სხვა ეტაპია. ამასთან დაკავშირებით კარგად თქვა ირაკლი კობახიძემ, რომ სერიოზული საუბარი ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციაზე დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე გადაანგარიშებით 10 000 დოლარს ასცდება. მანამდე ევროკავშირი არ იჩქარებს ჩვენს მიღებას. პირველ რიგში, ევროკავშირი ეკონომიკური პროექტია. ჩვენც ამას ამ კუთხით უნდა შევხედოთ. მაგრამ ამ მძლავრ ეკონომიკურ გაერთიანებაში რომ მიგიღონ, ელემენტარულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდე.

საქართველომ საღად უნდა შეხედოს, ჩვენთვის რა სარგებელი მოაქვს ევროკავშირს, როგორც მძლავრ ეკონომიკურ გაერთიანებას. პრაგმატულად უნდა შევხედოთ ამას, რომ ევროკავშირში შესვლა ასწევს ჩვენი სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობის სტანდარტს, გაცილებით მაღალ საფეხურზე აიყვანს. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ევროკავშირში შესვლა პანაცეაა და, განსაკუთრებით, უსაფრთხოების თვალსაზრისით დაცულნი ვიქნებით.

ცხადია, ამ საკითხს აქვს პოლიტიკური მდგენელი, პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია აგრესიული რუსეთის ფაქტორთან. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირი ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის, საბოლოო ჯამში, **რა ურჩევნიათ, ეკონომიკური სარგებლიანობა და რუსეთთან შედარებით უფრო ლოიალური პოლიტიკა, თუ ხისტი პოლიტიკა რუსეთთან და დიდი ეკონომიკური ზარალი. რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვამ დიდი გზარი გააჩინა ევროკავშირის ერთიანობაში. ამას წინათ „ფაინეშელ თაიმსში“ სტატია გამოქვეყნდა, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთის გაზრის დაკარგვის გამო ევროკულმა კომპანიებმა 2022 წელს სუფთა ზარალი გაანიცადეს დაახლოებით ასი მილიარდი ევროს ოდენობით. ეს საკმაოდ დიდი რიცხვია. გარდა ამ პირდაპირი და უშუალო ზარალისა, მათ მიადგათ არაპირდაპირი ზარალი, რაც დათვლასაც არ ექვემდებარება. ეს არაპირდაპირი ზარალი დაკავშირებულია ენერგომატარებლების გაძვირებასა და რუსეთიდან ნედლეულის იმპორტის შეზღუდვასთან.**

იმ სატრანსპორტო დერეფნის ბლოკირებასთან, რაც რუსეთზე გავლით უბურნველყოფდა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან, უწინარესად ჩინეთთან, ასევე ინდოეთთან სავაჭრო ტვირთბრუნვას და რითიც ყველაზე უფრო მეტად სწორედ ევროპული კომპანიები სარგებლობდნენ. ევროკავშირის ეკნომიკური ლოკომოტივის, წამყვანი ძალის – გერმანიის ეკონომიკის მომავალიც რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდვის გამო ძალიან მუნდოვანია. წელს რეცესიაა გერმანიაში, საშუალო და მსხვილი მიზნესი გერმანიის საზღვრებს დატოვებს და შეერთებულ შტატებში, ასევე, გადასვლას აპირებს.

ასე რომ, ევროკავშირი თავისი მომავლის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ პროცესშია. იმთავითვე არსებობდა ევროკავშირის ორი პროექტი. ერთია უნიფიცირებული სისტემა, რომელიც საერთო იქნებოდა ევროპის წევრი სახელმწიფოებისათვის, ერთგვარი „ევროპის შეერთებული შტატები“და მეორე პროექტი გახლდათ თავისუფალ ერთა ევროპა, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა, საერთო ბაზარი, მაგრამ არა პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების უნიფიცირება. თავისუფალ ერთა ევროპა ნიშნავდა, რომ თითოეული სახელმწიფო შეინარჩუნებდა სუვერენიტეტს, იქნებოდა სრული ტერიტორიული იურისდიქცია და იქნებოდა თანამშრომლობა საერთო ევროპული ღირებულებების გარშემო, პირველ რიგში, ადამიანის უფლებების სფეროში. ეს პროექტი არ გამოვიდა, ევროპა უფრო „შეერთებული შტატების“, რაც ჩაანაცვლებდა სუვერენულ ერ-სახელმწიფოებს, მიმართულებით წავიდა. თუმცა, რა მიმართულებით განვითარდება საბოლოოდ ეს პროცესი, ჯერ კიდევ დიდი გაურკვევლობაა.

საბოლოო ჯამში, საქართველომ საღად უნდა შეხედოს, ჩვენთვის რა სარგებელი მოაქვს ევროკავშირს, როგორც მძლავრ ეკონომიკურ გაერთიანებას. პრაგმატულად უნდა შევხედოთ ამას, რომ ევროკავშირში შესვლა ასწევს ჩვენი სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობის სტანდარტს, გაცილებით მაღალ საფეხურზე აიყვანს. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ევროკავშირში შესვლა პანაცეაა და, განსაკუთრებით, უსაფრთხოების თვალსაზრისით დაცულნი ვიქნებით.

მით უმეტეს, რომ თვითონ ევროკავშირის პოზიცია საქართველოს მიმართ ორჭოფულია. ეს კარგად ჩანს კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, კარგად ჩანს იმ ტურბულენტობითაც, რაც რუსეთის საფრთხეებს უკავშირდება. ევროკავშირი საკუთარი პოლიტიკური პერსპექტივის თვალსაზრისით დღეს საკმაოდ სუსტად გამოიყურება. ის რეალურად დამოუკიდებელ პოლიტიკას ვერც ატარებს, შეერთებული შტატების ჩრდილქვეშაა და მისი დომინაციით მოქმედებს. უახლოეს მომავალში ევროკავშირში ჩვენი ინტეგრაცია გამორიცხულია, თუმცა კანდიდატის სტატუსი ბევრ რამეში დაგვეხმარება, პირველ რიგში, იმაში, რომ საკუთარი თავის რწმენა აღვიდგინოთ. ამასთან, ეს სტატუსი შიდა სტაბილურობისთვისაა მნიშვნელოვანი...

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ჩვენი მდგომარეობა ასეთია, ცხადია, ჩვენ გვჭირდება ევროპასთან ინტეგრაცია, რაც განვითარების სრულიად სხვა ეტაპია. ამასთან დაკავშირებით კარგად თქვა ირაკლი კობახიძემ, რომ სერიოზული საუბარი ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციაზე დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე გადაანგარიშებით 10 000 დოლარს ასცდება. მანამდე ევროკავშირი არ იჩქარებს ჩვენს მიღებას. პირველ რიგში, ევროკავშირი ეკონომიკური პროექტია. ჩვენც ამას ამ კუთხით უნდა შევხედოთ. მაგრამ ამ მძლავრ ეკონომიკურ გაერთიანებაში რომ მიგიღონ, ელემენტარულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდე.

რეპორტაჟი
თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომიდან

საბა ბუაძისა და მისი მსგავსი მავნებელი არამზადების გასაგონად!

„29 აგვისტოს მოსულმა უხვმა ნალექმა ძალიან დიდი პრობლემა შექმნა დედაქალაქის ზოგიერთ რაიონში, კონკრეტულ უბნებში. როგორც დარგის სპეციალისტები ამბობენ, ამ სამ საათში მოსულმა ნალექმა, მოცულობით მინიმუმ ორჯერ გადააჭარბა 2015 წლის 13 ივნისს მოსულ ნალექს. სტიქიის შედეგად დაზიანდა სახურავები, სადარბაზოები, შლამით გადაივსო სანიაღვრე და წყალარინების ქსელები, ასევე, დაზიანდა გრუნტის დამჭერი კედლები, განსაკუთრებით ნაძალადევის რაიონში. რამდენიმე კერძო სახლიდან, მათი ავარიულობის გამო, გავიყვანეთ ადგილობრივი მცხოვრებლები.

მთელი ღამის განმავლობაში, ჩვენი სამსახურების, გამგეობების წარმომადგენლები მაქსიმალურად ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ დახმარებოდნენ ყველა იმ ადამიანს, ვისაც პრობლემა შეექმნა. 29 აგვისტოს 21:00 საათიდან 30 აგვისტოს დღის ბოლომდე, უამინდობასთან დაკავშირებით, ცხელ ხაზზე 600-ზე მეტი შეტყობინება შემოვიდა. არც ერთი შეტყობინება რეაგირების გარეშე არ დაგვიტოვებია. ყველგან ვიყავით მისული და შევაფასეთ არსებული მდგომარეობა“.

უხვი ნალექის შედეგად, 300-მდე მისამართზე ინფრასტრუქტურა დაზიანდა და უახლოეს პერიოდში ყველაფერი მოწესრიგდება და აღდგება.

* * *

„აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ღია კაფეების მეპატრონეებს დაკავებული ტერიტორიის გათავისუფლება და მოწესრიგება დავავალეთ, რისთვისაც გონივრული ვადაც მივეცით. როგორც გახსოვთ, მათ პანდემიის პერიოდში, გამომდინარე იქიდან, რომ დახურულ სივრცეში მეტი იყო ვირუსის გავრცელების რისკი, უფლება მივეცით, მაგიდები გარე ტერიტორიაზე განეთავსებინათ, თუმცა სარისკო პერიოდმა გადაიარა და დროა, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ტერიტორია მოწესრიგდეს. გამზირზე არსებული ვითარება სახანძრო თუ სასწრაფო დახმარების მანქანებს გადაადგილებაში უშლიდა ხელს, რაც ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“.

დღეს გამზირზე არსებული იმ კაფეების მაგიდები და სკამები, რომლებიც სანებართვო პირობებით გათვალისწინებულ ნორმებს იცავენ, შეზღუდულ არეალშია განთავსებული, რომელიც არ ზღუდავს როგორც ფეხით მოსიარულეების, ასევე, სახანძრო ან სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას. მუნიციპალიტეტისგან შესამამის ნებართვას ყველა მოქმედი ობიექტი მიიღებს, თუ დააკმაყოფილებენ კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ღია საკვები ობიექტის დიზაინი უნდა იყოს სადა და ისტორიული თბილისის იერსახის შესაფერისი. მინდა, აღნიშნული კაფეების მეპატრონეებს თანამშრომლობისა და ტერიტორიის მოწესრიგებისთვის მადლობა გადავუხადო. არანაირი ძალის გამოყენება არ გახდა საჭირო. მიხარია, როგორც დედაქალაქის მერს, რომ არსებობს ნდობა ჩვენს შორის. აქვე გიდასტურებთ მზაობას, დაგეხმარებით, რომ ყველაფერი სწორად და კანონიერად გავაკეთოთ, ასევე, მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებს ვუხდი მადლობას სამუშაოსთვის, რაც გასწიეს აღნიშნული სივრცის მოსაწესრიგებლად“!

* * *

„რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა ჭავჭავაძის გამზირზე არსებული გადავსებული ურნების ამსახველი ვიდეომასალა. ეს არის „პიქსელის“ მიმდებარე ტერიტორია, სადაც ერთ-ერთი დიდი სუპერმარკეტია განთავსებული. სწორედ ამ მარკეტიდან გამოტანილი ნაგავი იყო ურნებში ჩატენილი. ერთ-ერთმა მოქალაქემ გადაიღო ვიდეო და გამოხატა უკმაყოფილება. ამ ადამიანის ამსოლუტურად მესმის და ზოგადად ვიზიარებ მათ პოზიციას, ვისაც ჩვენს ქალაქზე გული შესტკივა.

ნაგავშემკრებ კონტეინერებში აკრძალული ნარჩენის მოთავსება და ამის შედეგად ურნების, ასევე, სპეცმანქანების დაზიანება დედაქალაქში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან კომერციული ობიექტების წარმომადგენლები და ასევე, მოქალაქეები კონტეინერებში და მის მიმდებარედ ათავსებენ: დაუშლელ მდგომარეობაში მუყაოს ყუთებსა და სხვა შეფუთვის ნარჩენს, სამშენებლო ნარჩენს, ავტომობილის მეორად ნაწილებსა და ზეთებს, საწარმოო ნარჩენს, ჩამოწერილ პროდუქტებს, ასევე, დიდგაბარიტიან ნარჩენს, როგორიცაა ძველი ავეჯი და ა.შ. ამ ყველაფრის მოთავსება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილ ურნებში (ასევე, მიმდებარედ) აკრძალულია და წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რაც ფულად ჯარიმას ითვალისწინებს“.

საზოგადოებას მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი „ნარჩენების მართვის წესი“ და მომხმარებელთა უფლება-მოვალეობები, რომლის თანახმადაც, „მომხმარებლები ვალდებულნი არიან ნარჩენები ისე განათავსონ კონტეინერებში, რომ არ მოხდეს მათი გადავსება, ხოლო გადავსების შემთხვევაში, ნარჩენები განათავსონ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კონტეინერებში. დაუშვებელია ნარჩენების ჩატენა, ჩაწნეხა და დაწვა სათავსში. დაუშვებელია ალმოდებული ნარჩენების, სითხეების და ისეთი ნივთების ჩასხმა/ჩაყრა, რომლებმაც შეიძლება დააზიანოს ან უჩვეულოდ დააბინძუროს ის. სათავსი უნდა შეივსოს ისე, რომ სახურავი მჭიდროდ დაეხუროს.

კომპანიების წარმომადგენლებსა და მოქალაქეებს მოვუწოდებ, ნარჩენები კანონით დადგენილი წესის მიხედვით განათავსონ, ნუ დავაბინძურებთ გარემოს და ყველა ერთად გავუფრთხილდეთ ჩვენს ქალაქს. ასევე, გეტყვით, რომ გლდანის რაიონში, თბილისის შემოვლითი გზის მე-15 კილომეტრის მიმდებარედ ფუნქციონირებს ინერტული ნარჩენების განთავსების ობიექტი, სადაც შესაძლებელია სამშენებლო/ინერტული ნარჩენის (ასევე, ძველი ავეჯის) კანონიერად განთავსება. ტარიფები ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვისაც. ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს „თბილსერვის ჯგუფთან“ შეუძლია ხელშეკრულების გაფორმება და ნარჩენების გატანის კუთხით, დამატებითი მომსახურების მიღება.

მინდა, მივმართო ყველა იმ მაღაზიათა ქსელს, რომელიც არ თანამშრომლობს ჩვენთან და ნარჩენებს მიზანმიმართულად ათავსებს საყოფაცხოვრებო ნარჩენისთვის გამოყოფილ ურნაში: სწორედ ეს ქმნის უდიდეს პრობლემას – ხდება ურნების გადავსება, დაზიანება. მესმის, ეს თქვენი მიზნესია, არავინ ხელს არ გიშლით, გყავთ დასაქმებული ადამიანები, მაგრამ თქვენი მიზნესის კეთებით გარემო არ უნდა დააბინძუროთ და მოქალაქეებს არ უნდა შეუქმნათ პრობლემები. დღეს სპეციალურად არ ვასახელებ იმ კონკრეტულ სუპერმარკეტებს, რომლებიც ქალაქში მსგავს პრობლემას ქმნიან. გეძლევათ გონივრული ვადა იმისთვის, რომ „თბილსერვისთან“ გააფორმოთ ხელშეკრულება, არც თქვენ შეგექმნათ პრობლემა და არც ამ ქალაქში მცხოვრებლებს. ჩვენი თხოვნა და მოთხოვნაა, სისუფთავის და წესრიგის დაცვა კანონის ფარგლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვავალებ ვიცე-მერს, ირაკლი ხმალაძეს, რომ ვინაიდან, ამ ეტაპზე „თბილსერვის ჯგუფს“ დაჯარიმების უფლება არ აქვს, დაიწყეთ ამ საკითხზე მუშაობა. თუ საჭირო გახდება, ჩართეთ მუნიციპალური ინსპექცია, გაამკაცრეთ და გაზარდეთ ჯარიმები“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

* * *

„ე.წ. ოპოზიცია ახორციელებს კამპანიას, თითქოს მშენებლობა და განვითარება ერთგვარი დანაშაულია. თან ამას ამბობენ ადამიანები, რომელთა დამსახურებაა ყველა ის უბედურება, რაც კი ქალაქს დაემართა. დედაქალაქის განვითარება განაშენიანების რეგულირების გენერალური გეგმის მიხედვით ხდება. შესაბამისად, გენერალური გეგმის ერთ-ერთი კომპონენტი ქალაქის ცენტრში არსებული სივრცეებია, რომლებიც ცარიელია და უნდა განვითარდეს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნახოს, ყველა პროექტთან დაკავშირებით, რომელიც საკრებულოში იყო წარდგენილი, რა მოთხოვნები და ვალდებულებებია გაწერილი, მაგრამ ეს არავის აინტერესებს. მხოლოდ პოლიტიკური ნარატივია, რომ მშენებლობა ცუდია, დანაშაულია და ა.შ.“

> **თურმე კონკრეტული სამშენებლო კომპანიები პარტია „ქართული ოცნების“ შემომწირველები არიან და როგორ შეიძლება მისმა მხარდამჭერებმა აღნიშნული პროექტები განახორციელონ. ეს „ნაცური“ ნარატივი, უფრო სწორად, ლიბერალიზმით შენიღბული ფაშიზმია, რომელიც, სამწუხაროდ, ქვეყანაში გვაქვს. საბა გუაძის ლოგიკით, უნდა გავუშვათ ჩვენი შესაბამისი სამსახურები მამუკა ხაზარაძესთან, რომელსაც დიდი გიზნესი აქვს ამ მიმართულებით და ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიების განაშენიანებას კანონიერად ახორციელებს, უნდა ჩამოვართვათ ყველაფერი. ეს არის საბა გუაძისეული აზროვნება.**
>
> **არ იფიქროთ, დანარჩენებს მასზე მეტი გონებრივი შესაძლებლობა ჰქონდეს. ყველა ერთნაირია. როდესაც ისინი ხელისუფლებაში იყვნენ, ეს დამოკიდებულება ჰქონდათ. ვერც იაზრებთ, რატომ ხართ იქ, სადაც ხართ. მერწმუნეთ, ასე იქნებით მანამ, სანამ სწორ ანალიზს არ გააკეთებთ, თუ რა უგედურება მოუტანეთ ხალხს. დღეს კი იმყოფებით ოპოზიციაში და საზოგადოებას აჩვენებთ, როგორი არ უნდა იყოს ოპოზიცია“!**

„ჩვენ არ და ვერ გავაჩერებთ ქალაქის აღმშენებლობას, მაგრამ ამას არ გავაკეთებთ ისე, როგორც აკეთებდით თქვენ. საუკეთესო მაგალითი იმისა, როგორ არ უნდა მოექცე საკუთარ ქალაქს არის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია. ასეთი ბევრი მაგალითი არსებობს. თქვენ მიერ გასხვისებული სკვერების, სპორტული მოედნების გამოსყიდვა მუნიციპალიტეტს უზარმაზარი თანხები უჯდება. ის, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ორნიშნა რიცხვით იყო, ამაში სამშენებლო სექტორს დიდი როლი აქვს, ზუსტად ამას ებრძვიან ისინი. საკრებულოს იმ წევრებს კი, რომლებმაც წარდგენილ პროექტებს მხარი დაუჭირეს, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო“...

* * *

კახა კალაძემ ახალგაზრდულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ თბილისის მერია სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, 6 სექტემბრიდან სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით, განცხადებების მიღებას იწყებს.

„მინდა, მივმართო სტუდენტებს, ვინც ხვდებით აღნიშნულ პროგრამაში, იაქტიურეთ. დაფინანსების მისაღებად, თბილისის მერიაში სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია 30 ნოემბრის ჩათვლით. განცხადების შეტანა, ასევე, შესაძლებელია თბილისის რაიონული გამგეობების სერვისცენტრებში ან ელექტრონულ პლატფორმაზე www.ms.gov.ge საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი და სხვა დეტალური ინფორმაცია თბილისის მერიის ვებგვერდზე განთავსდება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ამასთან, თბილისის მერიის ინიციატივით, იწყება ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, დაფინანსდება როგორც პროდუქციის, ასევე, სხვადასხვა სფეროს მიმართულებით სერვისების შექმნა.

CIU
CCI
CCI
CCI

SOS! – წაუკითხავად დაწვით!.. ან, წაკითხვისთანავე გამოგვეხმაურეთ!..



ნეოლიბერალური ფაშიზმი

1975 წელს, როდესაც აშშ-მა და ევროპის სახელმწიფოებმა „ადამიანის უფლებათა დეკლარაცია“ მიიღეს ჰელსინკში, იმის მაუწყებელი იყო, რომ ევროპაში (და აშშ-ში) უკვე დაძრწოდა ნეოლიბერალური ფაშიზმის აჩრდილი, რაც მაშინდელი მსოფლიო საგოგადოების დიდმა ნაწილმა ვერ გააცნობიერა.

ეს „დეკლარაცია“ ზოგმა არასერიოზულ აქტად მიიჩნია და ყურადღების ღირსად არ ჩათვალა, ზოგს გაუხარდა და დემოკრატიის საყოველთაო გამარჯვებად აღიარა იგი. მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილმა დაინახა სახიფათო მომავლის კონტურები. მათ შორის იყო (რაც არ უნდა გაგიკვირდეთ!) აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი, რომელმაც პრეზიდენტობისას განაცხადა: მომავალში ფაშიზმი თუ მოვა, მას აუცილებლად ლიბერალური სახე ექნებაო. რეიგანმა, ჩემი აზრით, მცირე შეცდომა დაუშვა: შემდგომში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულ ფაშიზმს არა კლასიკური ლიბერალური, არამედ ნეოლიბერალური სახე აქვს.

უმთავრესი და ყველაზე სახიფათო დეტალი „ჰელსინკის დოკუმენტში“ არის ის, რომ პიროვნების (და არა ადამიანის!) უფლება უმაღლეს ღირებულებად გამოაცხადა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პიროვნების უფლება სახელმწიფოს უფლებაზე მაღლა დგასო. ამან თავდაყირა დააყენა ისტორიულად ჩამოყალიბებული შეხედულება სახელმწიფოს ფუნქციისა და დანიშნულების შესახებ. ეს ბლეფი მარტივად იშიფრება: ამ დებულების თანახმად, სახელმწიფოში მოქმედი კონსტიტუციური ნორმები, რაც სამართლებრივ კოდექსებს ედება საფუძვლად, რეალურ ძალას კარგავს, რადგან პიროვნების უფლება იურიდიულ კანონებზე მაღლა დგას!

ჰელსინკის ადამიანთა უფლებების დეკლარაციის შემდგენლებმა და მათმა პატრონებმა კარგად იცოდნენ და არც აპირებდნენ „ჰელსინკის პრინციპების“ რეალიზაციას თავიანთ ქვეყნებში, მაგრამ მას ეფექტიანად გამოიყენებდნენ სხვა სახელმწიფოების დაშლა-დანგრევის საქმეში. აბა, ხალხმა თუ მართლა დაიჯერა, რომ მისი უფლებები სახელმწიფო უფლებებზე (კონსტიტუციაზე, იურიდიულ კოდექსებზე) მაღლა დგას, მაშინ სახელმწიფო როგორ დაარეგულირებს მისი მოქალაქეების ქცევებსა და ქმედებებს?

ამასთან, ერთი ძველი ანეკდოტი მახსენდება, რომელიც სულ სხვა მიზნითა და მოტივით არის შექმნილი, მაგრამ სრულად შეესაბამება „ჰელსინკის დეკლარაციის“ უძირითადეს პრინციპს: მძიმე დანაშაულში ბრალდებულს ასამართლებენ და საბოლოო განაჩენს კითხულობს მოსამართლე: ამა და ამ დანაშაულის ჩადენის გამო ბრალდებულს მიესაჯოს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა! საბრალდებო სკამზე მჯდომი ბრალდებული არხეინად ისვრის რეპლიკას: კი, აბა, რახან შენ იტყვი!

აბა ვინ გამოიტანდა განაჩენს სახელმწიფოს სახელით?!

სახელმწიფოსა და მისი მოქალაქის სამართლებრივი პასუხისმგებლობის იერარქია პოეტური ფორმით კარგად გამოხატა მუხრან მაჭავარიანმა: **„მამულიშვილნო, ამ ჩვენს ტანჯულ მიწას, მტერი გვეცილება დაუძინებელი, აუცილებელია დაცვა მამულისა, სიცოცხლე არ არის აუცილებელი!“**

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგახსენდეს ერთი კურიოზული საპარლამენტო პარტიის („რკოსა“ და „გირჩის“) ოდიოზური თავმჯდომარის საპარლამენტო ტრიბუნიდან გაკეთებული განცხადება სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით: სავალდებულო სამხედრო სამსახური მონობაა!

იმ იდიოტს რომ ჰკითხო და სხვა მისნაირ იდიოტებს, გეტყვიან, ჩვენ პიროვნების უფლებებს ვიცავთო, რადგან, თუ კაცს არ სურს სამშობლოს დაცვა და ავალდებულებ, ეს მონობააო. ერთი შეხედვით (ბრიყვული თვალით!) ეს თითქოს ლიბერალური შეფასებაა, მაგრამ, თუ ამ პოზიციას ადამიანის უფლება-მოვალეობათა კონტექსტში განვიხილავთ, იგი სრული ოდიოტობაა!

მოდით, ჯერ ის ვთქვათ, რა არის ნეოლიბერალიზმი და რით განსხვავდება იგი ლიბერალიზმისაგან, რაც ჩვენ ვიცოდით მთელ კაცობრიობასთან ერთად. მოკლედ თუ ვიტყვით, ეს არის ყოვლის ნებადართულობა, რაც კი საღ, თუ ავადმყოფ გონებაში შეიძლება სურვილის სახით დაიბადოს! (კიდევ ვიმეორებ: ასეთი რამ ნეოლიბერალიზმის „შემოქმედთ“ არც თავისთვის და არც თავიანთი სახელმწიფოსათვის უნდათ, სრულიად გასაგები მიზეზების გამო!) ეს არის, თითქოს პიროვნების სრული თავისუფლება, ანუ ვისაც როგორ სურს ისე მოიქცევა!

კარგია, არა?

არა! სინამდვილეში ეს არის ძალადობის ისეთი ფარული ფორმა, რომელიც აშკარა ძალადობაზე გევრად უარესი სისასტიკეა.

ამ ე.წ. „თავისუფლების“ ძალადობა და სისასტიკე იმით გამოიხატება, რომ ნეოლიბერალური პროპაგანდა ისეთი ფსიქიკური ზემოქმედების საშუალებებს იყენებს, რომელიც ადვილად აქცევს თავის გავლენის ქვეშ მცირეწლოვან და არასრულწლოვან მოზარდებს, რომლებსაც არც ცოდნა და არც გამოცდილება აქვთ საიმისოდ, რომ გაერკვნენ მოვლენების ჭეშმარიტ არსში. მაგალითად, ე.წ. მსუბუქი ანუ საკლუბო ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაცია განა მომხიბვლელი არ არის მოზარდებისთვის? ენერგეტიკული სასმელი, რომელიც ჩვენში უკვე მსხლის ლიმონათის ტოლფასად მიიჩნევა, ცუდია, განა? ზრდასრული ადამიანისთვის მარიხუანას მოხმარება, განა სასიკეთო არ არის, რადგან იგი დროებით მაინც ავიწყებს ყოფით პრობლემებს და კარგ ხასიათზე აყენებს ადამიანს...

დაეკითხეთ ნარკოლოგებს და პატიოსანი, პროფესიონალი ნარკოლოგი აუცილებლად გეტყვით, რომ ენერგეტიკული სასმელისა და სხვა მსუბუქი ნარკოტიკის მომხმარებელი სუბიექტი აუცილებლად,ყოველ მიზეზგარეშე მივა მძიმე ნარკოტიკებამდე! მარიხუანას მომხმარებელი, რომელიც ისედაც „გირჩის“ ლიდერივით გამოთაყვანებულია, ყოველ ღონეს იხმარს, რომ კოკაინი, მორფი ან ჰეროინი გასინჯოს.

გასინჯავს და...

თუ ვინმემ იცის ბედნიერი ნარკომანი, დამისახელოს და მე ბოდიშს მოვიხდი მთელი სანარკომანეთისა და მათი აპოლოგეტ-წამქეზებელთა წინაშე.

ასეთივე „თავისუფლების“ მაგალითია სქესის შეცვლის უფლების მიცემა მოზარდებისა, მათ შორის მცირეწლოვანებისთვის. ლგბტ პროპაგანდის, აუდიო-ვიდეოსაშუალებების, ე.წ. „მხატვრული“ ლიტერატურის ზეგავლენით, მით უფრო, სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის სრული გაქრობის პირობებში, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს სქესის შეცვლის სურვილი გაუჩნდეს არასრულწლოვანს, მით უფრო მცირეწლოვან მოზარდს. მერე, სქესშეცვლილი გაუბედურებული ადამიანი როდესაც თავის ტრაგედიას გააცნობიერებს, რას იზამს, თუ იცით? ამგვარ უბედურთა შორის ფანტასტიკურად მაღალია სუიციდის (თვითმკვლელობის) პროცენტული მაჩვენებელი.

ნეოლიბერალური „იდეოლოგია“ ათავისუფლებს ადამიანს ისეთი „კომპლექსებისგან“, როგორიც არის სირცხვილი, პასუხისმგებლობის გრძნობა სხვათა მიმართ, ეროვნული ცნობიერება, ერთგულება, სიყვარული და საერთოდ ზნეობა, რაც ,,თურმე“ ზღუდავს პიროვნების შემოქმედებით უნარების განვითარება-გამოვლენას.

აი, ასეთია ნეოლიბერალური თავისუფლება!

ფაშიზმი რაღა შუაშია, – იკითხავს გონიერი კაცი, უთუოდ.

ფაშიზმი ის არის, როდესაც ერთი პოლიტიკური ჯგუფი საკუთარი იდეოლოგიისა და უფლებების გარდა არავის იდეოლოგიასა და უფლებებს არ აღიარებს, არ ცნობს და მისი მრწამსისა და იდეოლოგიურ-პოლიტიკური და სოციალურ შეხედულებების საწინააღმდეგო შეხედულებებს დანაშაულად მიიჩნევს და მის განადგურებას ცდილობს,

გამართლდა რონალდ რეიგანის შიში: დღეს ფაშიზმი ევროპასა და აშშ-ში ნეოლიბერალური სახით მოვიდა!

დღეს ევროპასა და აშშ-ში კაცის კაცთან და ქალისა კი ქალთან ქორწინების ანუ ერთნაირსქესიან წყვილთა ოჯახების კანონიერად აღიარების მოწინააღმდეგეები სისხლის სამართლის დამნაშავეებად და ადამიანის უფლებების დამრღვევებად მიიჩნევიან და სათანადო კანონებით ისჯებიან.



მამულიშვილნო, ამ ჩვენს ტანჯულ მიწას მტერი გვეცილება დაუძინებელი, აუცილებელია დაცვა მამულისა, სიცოცხლე არ არის აუცილებელი!

მუხრან მაჭავარიანი

სავალდებულო სამხედრო სამსახური მონობაა!

„ზურა გირჩი“



დღეს ფაშიზმი ევროპასა და აშშ-ში ნეოლიბერალური სახით მოვიდა!

რონალდ რეიგანი

ტრანსგენდერები ამერიკის შეერთებული შტატების სახეა!

ჯო ბაიდენი

ჩემი მიზანია მთელ მსოფლიოში დავამკვიდრო ჰომოსექსუალიზმისადმი საზოგადოების ნორმალური დამოკიდებულება.

ბარაკ ობამა



ზურაბ ცუცქირიძე,

პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

ტელ: 555 56-75-37

(დასასრული მორიგ ნომერში)

„ვინც ზომაზე არა ყლაპავს, სიმწრით „ჩაანაგვებს“...

თბილისის დასუფთავების სამსახურმა დირექტორისა და მისი სამი მოადგილისთვის ახალი მანქანები იყიდა 2021 წელს. აუდიტის სამსახურმა თბილისის მერიას დაქვემდებარებული „თბილსერვისXგუფის“ ორი წლის დოკუმენტები შეისწავლა და ვერ დაინახა, „რა აუცილებელი საჭიროებით იყო გამოწვეული ახალი მანქანების შესყიდვა“.

დასუფთავების კომპანიის თანამშრომლები 2020 წელს კომპანიის კუთვნილი 117 და კერძო საკუთრებაში არსებული 716 მსუბუქი მანქანით სარგებლობდნენ – ჯამში, 800-ზე მეტი მანქანით. ამის მიუხედავად, თბილისის მერიის დაქვემდებარებულმა კომპანიამ 2021 წელს 36 მანქანა შეიძინა, რაშიც 1,7 მილიონი ლარი დახარჯა. აქედან თანხის თითქმის მესამედი მოხმარდა დასუფთავების კომპანიის ხელმძღვანელი პირებისთვის ახალი მანქანების შეძენას.

კომპანიის ძირითადი მოვალეობებია: ქუჩების დაგვა-დასუფთავება, სანიაღვრე სისტემების მართვა, გარე განათების სისტემების მოვლა-პატრონობა და ა.შ.

- ძვირადღირებული მანქანები იყიდეს **დირექტორისთვის** (**KIA K5**) 92 600 ლარად და მისი **სამი მოადგილისთვის MITSUBISHI L200** – 80 800 ლარად. იმავე მოდელის მეოთხე მანქანა კი – **სანიაღვრე და საღრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტის უფროსისთვის**.
- ახალი **KIA SPORTAGE** – მაღალი გამავლობის ჯიპი, რომელიც 76 200 ლარად იყიდეს, გადაეცა **საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სამსახურის უფროსს**.

„მითითებული პირები სამსახურებრივი საჭიროებისთვის სარგებლობდნენ კომპანიის საკუთრებაში არსებული სხვა მანქანებით“, – წერია აუდიტის სამსახურის დასკვნაში, რომელშიც დამატებით აღნიშნულია, რომ „დირექტორზე გადაცემული იყო 2 მანქანა SUZUKI GRAND VITARA, დირექტორის მოადგილეებზე – KIA OPTIMA L200 და HUNDAI ELANTRA, სანიაღვრე და საღრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტის უფროსისთვის – TOYOTA HILUX, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სამსახურის უფროსისთვის – KIA SOUL.

„მანქანების განახლება ხდება მაშინ, როცა მისი მოვლა-პატრონობა საბალანსო ღირებულებაზე მეტი ჯდება. (ამ დროს) ეს მანქანები ითვლება ამორტიზებულად... შემდეგ ხდება ამ მანქანების ჩამოწერა შემდგომი რეალიზაციის მიზნით“, – ამბობს კომპანიის დირექტორი, დავით ფაჩულია.

2021 წლის მაისში დადებული ხელშეკრულებით, „თბილსერვისს“ მანქანები ოთხ ეტაპად გადაეცა. მათ შორის, დირექტორის ძვირადღირებული მანქანა – 19 ივლისს, მისი მოადგილეების კი – 11 აგვისტოს.

ნახევარი მილიონი თბილისის დასუფთავების სამსახურის უფროსების ახალი მანქანებისთვის!

დასუფთავების კომპანიამ უფრო ძვირად იყიდა 11 მანქანა (4 „პიკაპი“ და 7 „ჰეჩბეკი“), ვიდრე შესყიდვების საგენტომ კონსოლიდირებული ტენდერით – „თბილსერვისმა არაეკონომიურად დახარXა 83 ათას ლარზე მეტი“.

დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით აქცია არაერთხელ გაუმართავთ, მათ შორის ერთ-ერთი სწორედ ამ პერიოდში იყო. 2021 წლის 6 აგვისტოს, როცა კომპანიის დირექტორს ახალი მანქანა უკვე მიღებული ჰქონდა, თავისი მოადგილეებისთვის კი ელოდებოდა, დასუფთავების პროცესში ჩართული თანამშრომლები უსაფრთხო სამუშაო პირობებსა და ხელფასის ზრდას ითხოვდნენ.

დავით ფაჩულია თანამშრომლების პროტესტს ახალი მანქანების შეძენას არ უკავშირებს.

დამატებით, აუდიტის სამსახურში აღნიშნავენ, რომ **36 მანქანის შესაძენად ტენდერი კონკურენციის გარეშე ჩატარდა.** დასუფთავების კომპანიამ ტენდერის გამართვამდე ბაზრის კვლევა ჩაატარა და აღმოაჩინა, რომ სამი კომპანიიდან მხოლოდ ერთს შეეძლო 5 სხვადასხვა კატეგორიის მანქანის მიწოდება, თუმცა ამის მიუხედავად ეს შესყიდვა ლოტებად არ დაყო:

„სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრა მოთხოვნები, რომელიც ზღუდავდა კონკურენციას. აღნიშნული წარმოშობს რისკს, რომ თბილსერვისმა ფულადი სახსრები არაეკონომიურად დახარჯა“.

საპასუხოდ კომპანიის დირექტორი ამბობს: **„მე საბუთებით მაქვს დადასტურებული, რომ მინიმუმ ორი კომპანია აკმაყოფილებდა, ბაზრის მოკვლევის შედეგებს, და ორი ინვოისი მე მქონდა. იქ მერე არ შემოვიდა რომელიმე კომპანია, ეგ სხვა ისტორიაა“.**

ამ ეჭვს აუდიტის სამსახურს უმყარებს ის გარემოებაც, რომ დასუფთავების კომპანიამ უფრო ძვირად იყიდა 11 მანქანა (4 „პიკაპი“ და 7 „ჰეჩბეკი“), ვიდრე შესყიდვების საგენტომ კონსოლიდირებული ტენდერით – **„თბილსერვისმა არაეკონომიურად დახარჯა 83 ათას ლარზე მეტი“.**

გაურკვეველია, რა საჭიროებითაა გამოწვეული ჯამში 869 ერთეული მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენება, დაახლოებით, ყოველი მე-2 დასაქმებულისთვის (მეეზოვეების გამოკლებით, რომელთა უმეტეს ნაწილს საოფისე ფუნქციური დატვირთვა აქვს) და მათი საქმიანობა არ უკავშირდება ოფისის გარეთ, სხვადასხვა ლოკაციაზე ვიზიტებს...

გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა არაგონივრულად მაღალია და მათი მოვლა-შენახვისთვის არარაციონალურად იხარXება კომპანიის ფულადი სახსრები.

ამავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2021 წელს „თბილსერვისში“ დასაქმებულთა რაოდენობა მაქსიმუმ 4993 ერთეული იყო, აქედან 2924 მეეზოვე-დამგველია – ანუ თანამშრომელთა თითქმის ნახევარი.

„შესაბამისად, გაურკვეველია, რა საჭიროებითაა გამოწვეული ჯამში 869 ერთეული მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენება, დაახლოებით, ყოველი მე-2 დასაქმებულისთვის (მეეზოვეების გამოკლებით), რომელთა უმეტეს ნაწილს საოფისე ფუნქციური დატვირთვა აქვს და მათი საქმიანობა არ უკავშირდება ოფისის გარეთ, სხვადასხვა ლოკაციაზე ვიზიტებს...

გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა არაგონივრულად მაღალია და მათი მოვლა-შენახვისთვის არარაციონალურად იხარჯება კომპანიის ფულადი სახსრები“, – წერია დასკვნაში.

აუდიტორები სახელმწიფო კომპანიაში ხედავენ არასამსახურებრივი დანიშნულებით საწვავის გამოყენების რისკებსაც. **თბილისის დასუფთავების კომპანიამ მხოლოდ ორ წელიწადში, 2020 და 2021 წელს, 17,8 მილიონი ლარის საწვავი დახარჯა. ამ რისკებზე საუბრის დროს მოყვანილია რამდენიმე გარემოება. მათ შორის, დაფიქსირდა 24 შემთხვევა, როცა მანქანაში იმაზე მეტი საწვავი „ჩაასხეს“, ვიდრე მისი ავზი იტევდა – ჯამში ჩასხმულია 1527 ლიტრი.**

„თბილსერვისში“ კომპანიისთვის მიყენებული ზიანი საწვავის სრული ღირებულება 4533 ლარია, რაც „ზემოაღნიშნულ თანამშრომლებს მათივე თანხმობით დაუკავდათ ხელფასიდან.“ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, არც ერთი მანქანა არ ეკუთვნოდა დირექტორს ან მის რომელიმე მოადგილეს.

აუდიტის სამსახურის დასკვნა 25 აგვისტოს, 18:06 საათზე გამოქვეყნდა, ამავე დღეს 18:21 საათზე კი თბილისის მერიის დასუფთავების კომპანიამ ახალი **60 მანქანის შესაძენად ტენდერი გამოაქვეყნა.** „თბილსერვისXგუფს“ ამისთვის 3,2 მილიონი ლარი აქვს გათვალისწინებული.

„აქვთ მათ (აუდიტის სამსახურს) თავიანთი პოზიცია, რომელსაც ჩვენ არ ვეთანხმებით, მაგრამ ყველა პუნქტს მიაწერეს, რომ სარეკომენდაციო ხასიათისაა“, – განაცხადა ფაჩულიამ.

„თბილსერვისXგუფის“ ყოფილი დირექტორისთვის, რომეო მიქაუტაძისთვის შეძენილი KIA K5-ით ახლანდელი დირექტორი – დავით ფაჩულია სარგებლობს. 2020 წლის 1 მაისიდან 2021 წლის 28 დეკემბრამდე ის დირექტორის მოადგილე იყო. აუდიტის დასკვნა სწორედ მათი ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდს ეხება.

გელა გოჩიკაშვილი,
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.

ნარკომანთა მკურნალი ნარკოტიკებს ასაღებდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის 2 პირი დააკავეს – ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების ფაქტზე 1969 წელს დაბადებული ე.ბ., ხოლო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის, წარსულში ნასამართლევი 1971 წელს დაბადებული ჯ.ბ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ნარკოდანაშაულის გამოსავლენად, რამდენიმე ეტაპად, 40 დღის განმავლობაში განახორციელა კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ე.ბ., ქობულეთში არსებულ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ მუშაობდა, სადაც ის სამსახურებრივ მდგომარეობას დანაშაულებრივი საქმიანობისთვის იყენებდა და ნარკოტიკულ საშუალებას უკანონოდ ასაღებდა. კერძოდ, ის რეალიზაციის მიზნით, „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრიდან“ მართლსაწინააღმდეგოდ ეტაპობრივად ეუფლებოდა 860 ბენეფიციარისთვის განკუთვნილ ნარკოტიკს, რომელსაც ჯ.ბ.-ზე უკანონოდ ასაღებდა. სამართალდამცველებმა, ბრალდებულების პირადი და სამუშაო ადგილის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს 22 ცალი 10 მილიგრამიანი შპრიცი, რომლებშიც ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ იყო მოთავსებული. ე.ბ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი ნივთმტკიცებად ამოღებულია 2,5 ლიტრი „მეტადონის“ ხსნარი, რომელიც სამ პლასტმასის ბოთლში იყო გადანაწილებული.

რუსეთმა ფუნდამენტური შეცდომა დაუშვა:

ერევანსა და მოსკოვს შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობა ახალ ფაზაში გადადის: ორმხრივი გრალდეგები გოლო რამდენიმე დღის განმავლობაში სულ უფრო ხშირად ისმის და პროცესი კიდევ უფრო გაუგებარ შინაარს იძენს.

მოსკოვი ჯერ თავისი პროპაგანდისტული მედიარესურსების მეშვეობით გამოეხმაურა სომხეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომ რუსი სამშვიდობოები არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მისიას და რომ რუსეთი ტოვებს რეგიონს, ხოლო შემდეგ უკვე ოფიციალურად – კრემლის პრესმდივნის დონეზე:

„რუსეთი ამ რეგიონის აბსოლუტურად განუყოფელი ნაწილია, ამიტომ ვერსად წავა. სომხეთიდან წასვლა რუსეთს არ შეუძლია. და მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ მოლოს და მოლოს, რუსეთში მეტი სომეხი ცხოვრობს, ვიდრე თავად სომხეთში, რომელთა უმეტესობა ჩვენი ქვეყნის – რუსეთის აბსოლუტურად სანიმუშო და პატრიოტი მოქალაქეა“, – განაცხადა კრემლის პრესსპიკერმა.

მანამდე ლაჩინის დერეფანში (მთიანი ყარაბაღის სომხეთთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც აზერბაიჯანს აქვს გადაკეტილი) რუსი სამშვიდობოების რეალურ უმოქმედობასთან დაკავშირებით, იტალიურ გამოცემა La Repubblica-სთვის მიცემულ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა ისტორიული პარალელები გაავლო და განაცხადა, რომ „ერთ დღეს ჩვენ უბრალოდ გავიღვიძებთ და დავინახავთ, რომ რუსეთი აქ არ არის“.

„ჩვენი რუსი პარტნიორები მევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ დასავლელი პარტნიორები მუშაობენ სომხეთთან ან უმიძგებენ სომხეთის მთავრობას, მიიღოს ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს რუსეთის განდევნას ჩვენი რეგიონიდან. მაგრამ როცა ჩვენს რუს პარტნიორებთან ვსაუბრობთ, ხანდახან ვამბობთ, გამოვთქვამთ ჩვენს აზრს და ჩვენს შეფასებას, რომ პირიქით, ვხედავთ, რომ თავად რუსეთი ტოვებს რეგიონს იმ ნაბიჯებით, რომლებსაც დგამს ან არ დგამს“, – აღწერა ვითარება სომხეთის ლიდერმა.

კრემლის სპიკერი მოჰყვა მტკიცებას, თითქოს რუსეთი აგრძელებს თანმიმდევრულ და ძალიან მნიშვნელოვან როლს რეგიონში ვითარების სტაბილიზაციასა და კონფლიქტების მოგვარებაში და რომ მოსკოვი გააგრძელებს ამ როლის შესრულებას. ამავდროულად პესკოვმა მნიშვნელოვნად მიიჩნია, რეგიონის ყველა სახელმწიფო დარჩეს 2020 წლის სამმხრივი შეთანხმებების ერთგული. მაგრამ სწორედ 2020 წლის 9 ნოემბრის შეთანხმების შესაბამისად უნდა ყოფილიყო ლაჩინის დერეფანი რუსი სამშვიდობოების კონტროლის ქვეშ, თუმცა ის ამჟამად აზერბაიჯანულ მხარეს აქვს ჩაკეტილი. ამ გარემოებაზე აქცენტირებს პერიოდულად ოფიციალური ერევანი, როცა აცხადებს, რომ რუსი სამშვიდობოები არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მეორე მხრივ, მოსკოვი შექმნილ ვითარებაში ფაშინიანის მთავრობას ადანაშაულებს და ამტკიცებს, რომ ეს სომხეთის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შედეგია. კერძოდ, როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ თქვა, სომხეთის მიერ მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის ნაწილად აღიარების.

ინფორმაციისთვის: სომხეთს არ უღიარებია აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მზადაა, მსგავსი ნაგიჯი გადადგას რიგი პირობების სანაცვლოდ.

ამასთან, ზახაროვამ ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, საჯაროდ და უხეშად გაეკრიტიკებინა სომხეთის ხელისუფლება, კერძოდ, პრემიერ-მინისტრი. მოსკოვის ოფიციალური წარმომადგენლის აღშფოთების მიზეზი გახდა ნიკოლ ფაშინიანის განცხადება, რომ „უსაფრთხოების სფეროში მხოლოდ ერთ ქვეყანაზე დამოკიდებულება ან მიბმა სტრატეგიული შეცდომა“ იყო და რომ ახლა სომხეთი დივერსიფიცირებას ცდილობს.

ბრიფინგზე ზახაროვა ერევანსა და მოსკოვს შორის დაძაბულობის გამამწვავებელ კიდევ ერთ თემას შეეხო – რომის სტატუტს, რომელიც ჯერ სომხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ცნო კონსტიტუციასთან შესაბამისად, შემდეგ ქვეყნის მთავრობამ პარლამენტს გადაუგზავნა რატიფიცირებისთვის. ფონი კი გახლავთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ კრემლის ლიდერზე დაკავების ორდერის გაცემა. ოფიციალური მოსკოვის წარმომადგენლის თქმით, მათ სთხოვეს ერევანს განმარტება და სომხური მხარის პასუხის შემდეგ გადაწყვეტენ შემდგომ ნაბიჯებს.

ამასთან, 5 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ სომხეთმა კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების რუსული ორგანიზაციიდან (ОДКБ) (რომელსაც ერევანი უმოქმედობაში ადანაშაულებს) თავისი მუდმივი წარმომადგენელი გაიწვია. მანამდე უარი თქვა ხსენებული ორგანიზაციის ეგიდით წვრთნებში მონაწილეობაზე, ხოლო 11-20 სექტემბერს სამხრეთ კავკასიის ამ სახელმწიფოში აშშ-სომხეთის ერთობლივი წვრთნები ARTSIV PARTNERS-2023 ჩატარდება. არც ეს საკითხი დატოვეს უყურადღებოდ მოსკოვში და როგორც კრემლის პრესსპიკერმა განაცხადა, სომხეთის განზრახვა „შეშფოთებას იწვევს“: **„ეს იწვევს შეშფოთებას, განსაკუთრებით, დღევანდელ ვითარებაში. ამიტომ, ჩვენ ღრმად გავაანალიზებთ ამ ამბებს და დავაკვირდებით სიტუაციას“.**

მაინც რა აძლევს რუსეთზე მაღალი დამოკიდებულების მქონე ქვეყნის პრემიერ–მინისტრს მსგავსი თამამი, ასე ვთქვათ, ლავირების შესაძლებლობას? საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე თვლის, რომ რუსეთმა ფუნდამენტური შეცდომა დაუშვა, როდესაც ყარაბაღში ხელი არ შეუშალა აზერბაიჯანს.

„სომხეთს რუსეთი სჭირდებოდა მანამდე, სანამ ყარაბაღი ჰქონდა და იმავდროულად ჰქონდა რუსეთიდან სამხედრო დახმარების იმედი. მაგრამ ომი მოხდა, რუსეთი სომხეთს არ დაეხმარა. შესაბამისად, მას რაღაში სჭირდება რუსეთი? ცხადია, დარჩა რიგი საკითხები გადასაწყვეტი, სომხეთს მოლომდე არ გაურკვევია ყველაფერი ორმხრივ ურთიერთობებში აზერბაიჯანთან, თურქეთთანაც, მაგრამ როგორც ჩანს, ფაშინიანი ფიქრობს, რომ ეს დალაგებადია, შესაბამისად, არ სჭირდება რუსეთი – ეს ერთი ასპექტია; მეორე – როგორც ჩანს, ის ფიქრობს, რომ ვიდრე რუსეთი უკრაინით არის დაკავებული და მისთვის არ სცალია, ახლაა ისტორიული შანსი, დაუსხლტეს. რუსეთი ნამდვილად დაკავებულია უკრაინაში, არ სცალია და ომი გამოუცხადოს სომხეთს, ასე მარტივი არ იქნება, თუმცა არც იმას ვფიქრობ, რომ სომხეთიდან ასე მარტივად გაიყვანს ბაზას და ამ ბაზას სომხები ომს ვერ დაუწყებენ. ამდენად, ახლა ამ პროცესს ვადევნებთ თვალს. როგორც ჩანს, ამერიკამ სომხეთში კარგად იმუშავა და ეს მოსალოდნელიც იყო გარდა ჩამოთვლილი მიზეზების გათვალისწინებით, სომხური ლობიდან გამომდინარეც. ძალიან დიდი სომხური ლობია ამერიკაში, რომელიც ცხადია, თავის როლს თამაშობს და ახლაც ითამაშა. ეს ლობი ყოველთვის იცავდა სომხეთის ინტერესებს და ახლა მით უფრო გაუადვილდება, როდესაც სომხეთი აპირებს (ვნახოთ, გამოუვა თუ არა), ჩაეხსნას რუსეთს“, – ამბობს **„აქცენტთან“** შარაშენიძე.

ფაშინიანის კნეინა უკრაინას სტუმრობს!

სომხეთის პრემიერ-მინისტრის, ნიკოლ ფაშინიანის ცოლი ანა აპოფიანი კიევში გაემგზავრა, სადაც პირველი ლედების და მეუღლეების ყოველწლიურ სამიტში მიიღებს მონაწილეობას.

სამიტი მესამე წელია ტარდება და მისი ორგანიზატორი უკრაინის პირველი ლედი ოლენა ზელენსკაა. სამიტში მონაწილეობენ დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, თურქეთის, ესპანეთის, ჩეხეთის, დანიის, ისრაელის და სხვა ქვეყნების ლიდერების მეუღლეები. ასევე სამიტში მონაწილეობენ ევროკავშირის მაღალჩინოსანი ქალები, ცნობილი მსახიობები და ჟურნალისტები. ანა აპოფიანმა კიევში ჰუმანიტარული დახმარება წაიღო. სომხეთმა უკრაინაში ჰუმანიტარული დახმარება ისტორიაში პირველად გააგზავნა.

ოლიმპიადა და პოლიტიკა, ანუ მაკრონული სტუმარმასპინძლობა

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი 2024 წელს პარიზის ოლიმპიადაზე რუსეთის დროშის წინააღმდეგ გამოვიდა.

„პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთის დროშის ადგილი არ არის. რუსეთს, როგორც ქვეყანას, არა აქვს ადგილი იმ დროს, როდესაც ის სამხედრო დანაშაულებს სჩადის უკრაინაში. კითხვა, რომელსაც ოლიმპიურმა სამყარომ უნდა უპასუხოს არის ის, თუ რა ადგილი უნდა დაუთმოს რუს სპორტსმენებს, რომლებიც ზოგჯერ მთელი ცხოვრება ვარჯიშობდნენ შეჯიბრებებისთვის, მაგრამ შესაძლოა ამ რეჟიმის მსხვერპლად იქცნენ“, – განაცხადა მაკრონმა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განასხვავონ სპორტსმენები, რომლებიც რეალურად არიან რუსეთის ხელისუფლების ქმედებების თანამონაწილეები და ისინი, ვინც რეჟიმის მსხვერპლად იქცნენ. ამ თვალსაზრისით, შწს (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი) უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც სამართლიანი და გასაგები იქნება უკრაინელებისთვის.

„ეს არის ბალანსი, რომელიც ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ“, – დასძინა საფრანგეთის პრეზიდენტმა. ცნობისთვის, პარიზში ოლიმპიური თამაშები 2024 წლის 26 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება.

აშშ უკრაინას რუსი ოლიგარქების ფულით ეხმარება



აშშ უკრაინას პირველად გადასცემს სანქცირებული რუსი ოლიგარქებისთვის ჩამორთმეულ აქტივებს, – ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა კიევში უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„უსაფრთხოების სფეროში უკრაინის საჭიროებების გარდა, ჩვენ პირველად გადავცემთ უკრაინას სანქცირებული რუსი ოლიგარქებისთვის ჩამორთმეულ აქტივებს, რომელთა გამოყენებაც ახლა მოხდება უკრაინელი ვეტერანი სამხედროების მხარდასაჭერად. ან, ვინც ხელს უწყობდა პუტინის აგრესიულ ომს, ამისთვის უნდა გადაიხადოს“, – განაცხადა ენტონი ბლინკენმა.

უკრაინული მედიის ცნობით, საუბარია 5,4 მილიონ დოლარზე, რომლებიც ვეტერანთა რეაბილიტაციასა და მხარდაჭერას მოხმარდება.



ბაიდენის ვაჟს ბრალდებას თვის ბოლოს წარუდგენენ

აშშ-ის ფედერალური პროკურატურა აპირებს პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ვაჟს, ჰანტერ ბაიდენს იარაღის უკანონო შენახვის საქმეზე ბრალდება წარუდგინოს. ამის შესახებ გამოცემა Politico სასამართლო დოკუმენტებზე დაყრდნობით წერს.

გამოცემის ცნობით, საქმე ეხება 2018 წლის ოქტომბერში ჰანტერ ბაიდენის მიერ შეძენილ იარაღს. პროკურორის, ლეო უაიზის განცხადებით, ფედერალური მთავრობა ჰანტერ ბაიდენს ბრალდებას დელავერის შტატში წარუდგენს. პროკურორის თქმით, ბრალის წარდგენის საბოლოო ვადად მთავრობას 29 სექტემბერი აქვს განსაზღვრული.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ანზორ გურეშიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ანზორ გურეშიძე (პ/ნ 60001129978), ქ. ქუთაისი, ლეჟავას ქუჩა (ყოფ. რუსთავი), №14, სართ. 2, ბინა 7

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ქუთაისი, ლეჟავას ქუჩა (ყოფ. რუსთავი), №14, სართ. 2, ბინა 7 (საკადასტრო კოდი: 03.01.23.270.01.007 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16510.8 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 8 სექტემბერი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2023 წლის 22 სექტემბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP92457223; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 924572

6. **მოვალე:** ანზორ გურეშიძე (პ/ნ 60001129978), ქუთაისი, ლეჟავას ქუჩა (ყოფ. რუსთავი) №14, სართ. 2, ბინა 7;

დუარდ ხუსკივაძე (პ/ნ 60001076543), ქუთაისი, ლეჟავას ქუჩა (ყოფ. რუსთავი), №14, სართ. 2, ბინა 7

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP92457223; ლოტის ნომერი: 924572).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 22 სექტემბრის 12:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს რაფაელ ემინაგაროვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: რაფაელ ემინაგაროვი (პ/ნ 28001070985), მარნეული, ს. ალგეთი, 36-ე ქუჩა №5

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

მარნეული, ს. ალგეთი, 36-ე ქუჩა №5 (საკადასტრო კოდი: 83.03.24.062 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 55254.29 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 8 სექტემბერი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2023 წლის 22 სექტემბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP92457423; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 924574

6. **მოვალე:** რაფაელ ემინაგაროვი (პ/ნ 28001070985), თეთრიწყარო, ს. წინწყარო; მარალ ბაქიევა (პ/ნ 28001076381), მარნეული, ს. ალგეთი და თეთრიწყარო, ს. წინწყარო; ჯუმშუდ ემინაგაროვი (პ/ნ 28001033445), მარნეული, ს. ალგეთი, მე-8 მე-2 ჩიხი №5.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP92457423; ლოტის ნომერი: 924574).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 22 სექტემბრის 12:00 საათამდე.

ოთარ შამუგია ფერმერებს შეხვდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე სიმონ გულედანთან ერთად, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში იმყოფებოდა, სადაც სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ მხარდაჭერით გაშენებული ვაშლის ბაღი დაათვალიერა, ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა და მათგან მოსავლის აღებისა და დაბინავების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა, – ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

„ჩვენ, ერთი მხრივ, ვეხმარებით ფერმერებს ინტენსიური ბაღების მოწყობაში და ბოლო წლების განმავლობაში პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, 2000 ჰა-ზე მეტი ინტენსიური და სუპერინტენსიური ბაღია მოწყობილი, საიდანაც ველოდებით როგორც რაოდენობრივად კარგ, ისე მაღალი ხარისხის მოსავალს. გარდა ამისა, სამაცივრე მეურნეობების მოწყობაშიც აქვთ ჩვენი მხარდაჭერა, მხოლოდ შიდა ქართლში ათეულობით სამაცივრე მეურნეობაა მოწყობილი. ეს მნიშვნელოვანია ფერმერებისთვის, რათა ჰქონდეთ სტანდარტების შესაბამისად მოსავლის შენახვის და შემდგომ უკვე ეტაპობრივად რეალიზაციის პირობები“, – განაცხადა ოთარ შამუგიამ.

თევზის ფესტივალი სუფსაში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში თევზის ფესტივალი წელს მეორედ ჩატარდა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ნაწარმი, მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, ტრადიციული კერძების მომზადების მასტერკლასი.

მდინარე სუფსაზე სპინინგით თევზჭერის ტურნირი გაიმართა, სადაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ასევე, ჩატარდა სპორტული თევზჭერის მასტერკლასი. ღონისძიება მენდ „mix2ra“-ს კონცერტით დასრულდა.

ფაროსანას თერმული ნისლით ებრძვიან

სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრი დასავლეთ საქართველოში მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს განაგრძობს.

როგორც სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, თხილის მოსავლის აღების შემდეგ, ფაროსანა სიმინდზე ინაცვლებს.

„საყანე ფართობების მონიტორინგის შედეგად, იმ მასივებში, სადაც მავნებლის გადაჭარბებული კონცენტრაცია შეინიშნება, სააგენტოს სპეციალიზებული ტექნიკა თერმული ნისლით წამლობას ახორციელებს. ამ დროისთვის დასავლეთ საქართველოში, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭის რეგიონებსა და აჭარაში თერმული ნისლის ტექნოლოგიით უკვე დამუშავებულია 128 628.00 ჰა ფართობი, ცივი შესხურების მეთოდით – 40 068 ჰა ფართობი, განთავსებულია მონიტორინგის 98 081 სპეციალური სისტემა.

სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად განხორციელებული მავნებლის საწინააღმდეგო სისტემური ღონისძიებების შედეგად, წინა წლების მსგავსად, წელს სიმინდში ფაროსანას მიერ მიყენებული ზიანი მინიმუმამდე არის დაყვანილი და, როგორც ფერმერები აღნიშნავენ, თითქმის 0%-ია“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველო

ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი
სესხი: 3520-GEO
დავალების სახელწოდება: გარემოს გარე მონიტორინგის კონსულტანტი კომპანია
BBRP/CS/CQS-01

ინტერესის გამოხატვის ვადა გახანგრძლივდა 2023 წლის 15 სექტემბრამდე.

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის: **https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=190799** მეშვეობით, არაუგვიანეს 2023 წლის 15 სექტემბრისა.

GEORGIA

BATUMI BYPASS ROAD PROJECT
Loan No.: 3520-GEO
Name of the Assignment: External Environmental Monitoring Firm
Contract No: BBRP/CS/CQS-01

The deadline for submission of the Expressions of Interest (EOIs) is extended to September 15, 2023.

The proposals will be submitted by means of the ADB web page: **https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=190799** not later than **September 15, 2023.**

◎ უნიკალური

კვარაცხელია – ოქროს ბურთზე

საქართველოს ნაკრებისა და „ნაპოლის“ ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია 2023 წლის „ოქროს ბურთზეა“ ნომინირებული!

France Football-მა გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც ყველაზე პრესტიჟული ინდივიდუალური ჯილდოს მოსაგებად იბრძოლებენ. რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რომ სიაში ხვიჩაც მოხვდა, რაც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში უნიკალური ფაქტია.

კვარაცხელიამ გასულ სეზონში ყველა ტურნირზე „ნაპოლის“ რიგებში 43 მატჩში 14 ბურთი გაიტანა, 14 საგოლე პასი გააკეთა და 5-ჯერ პენალტი მოიპოვა. ის სერია A-ს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად და ჩემპიონთა ლიგის სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს. ქართველმა ფეხბურთელმა „ნაპოლის“ შემადგენლობაში იტალიის ჩემპიონატიც მოიგო.

„ოქროს ბურთის“ გამარჯვებულები ფიფას წევრი ეროვნული ნაკრებების მწვრთნელებისა და კაპიტნების გამოკითხვით გამოვლინდება. აღსანიშნავია, რომ 30 ნომინანტს შორის ვერ მოხვდა კრიშტიანუ რონალდუ.

France Football-ის მიერ „ოქროს ბურთზე“ ნომინირებული ფეხბურთელები: ლიონელ მესი (ინტერ მაიამი, არგენტინა), როდრი (მანჩესტერ სიტი, ესპანეთი), ლაუტარო მარტინესი (ინტერი, არგენტინა), ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო, საფრანგეთი), რობერტ ლევანდოვსკი (ბარსელონა, პოლონეთი), ხულენ ალვარესი (მანჩესტერ სიტი, არგენტინა), იასინ ბონო (ალ-ჰილალი, მაროკო), ვინისიუსი (რეალი, ბრაზილია), ილქაი გიუნდოგანი (ბარსელონა, გერმანია), ერლინგ ჰოლანდი (მანჩესტერ სიტი, ნორვეგია), ნიკოლო ბარელა (ინტერი, იტალია), რუბენ დიაში (მანჩესტერ სიტი, პორტუგალია), ემილიანი მარტინესი (ასტონ ვილა, არგენტინა), **ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, საქართველო),** ბერნარდო სილვა (მანჩესტერ სიტი, პორტუგალია), რანდალ კოლო მუანი (პსჟ, საფრანგეთი), ჯუდ ბელინგემი (რეალი, ინგლისი), კევინ დე ბრუინი (მანჩესტერ სიტი, ბელგია), ბუკაიო საკა (არსენალი, ინგლისი), მოჰამედ სალაჰი (ლივერპული, ეგვიპტე), ჯამალ მუსიალა (ბაიერნი, გერმანია), კარიმ ბენზემა (ალ-იტიჰადი, საფრანგეთი), ანდრე ონანა (მანჩესტერი, კამერუნი), იოშკო გვარდიოლი (მანჩესტერ სიტი, ხორვატეთი), მარტინ ოდეგორი (არსენალი, ნორვეგია), კიმ მინ-ჯე (ბაიერნი, სამხრეთ კორეა), ლუკა მოდრიჩი (რეალი, ხორვატეთი), ვიქტორ ოსიმენი (ნაპოლი, ნიგერია), ჰარი კეინი (ბაიერნი, ინგლისი),კილიან მბაპე (პსჟ, საფრანგეთი).

წლის საუკეთესო მეკარის პრიზზე, ლევ იაშინის ჯილდოზე შემდეგი მეკარეები არიან წარდგენილნი: იასინ ბონო (ალ-ჰილალი, მაროკო), ტიბო კურტუა (რეალი, ბელგია), ედერსონი (მანჩესტერ სიტი, ბრაზილია), მაიკ მენინო (მილანი, საფრანგეთი), ემილიანო მარტინესი (ასტონ ვილა, არგენტინა), ანდრე ონანა (მანჩესტერი, კამერუნი), აარონ რამსდეილი (არსენალი, ინგლისი), მარკ ანდრე ტერშტეგენი (ბარსელონა, გერმანია), დომინიკ ლივაკოვიჩი (ფენერბაჰჩე, ხორვატეთი), ბრაის სამბა (ლანსი, საფრანგეთი).

„ოქროს ბურთის“ დაჯილდოების ცერემონია 30 ოქტომბერს გაიმართება და გამარჯვებულიც პირდაპირ ეთერში დასახელდება.

◎ ოვალური ბურთი

ზელანდიის გავლით

საქართველოს 15-წლამდე მორაგბეთა 7-კაცა ნაკრებმა საფრანგეთში მიმდინარე რაგბის სკოლების მსოფლიო თასის მეორე სათამაშო დღეს პირველი შეხვედრა დათმო, მეორე მოიგო და მე-5 ადგილის ფინალში ითამაშებს.

ჯგუფურ ეტაპზე საქართველომ ახალი ზელანდიის და რუმინეთის გუნდები დაამარცხა, ირლანდიასთან ფრედ ითამაშა და თასის 1/4-ფინალში საუკეთესო მეორეადგილოსნის, მე-7 გუნდის სტატუსით გავიდა.

1/4-ფინალში ახალი ზელანდიის მეორე გუნდი შეგვხვდა. მეტოქემ თამაში ხისტად დაიწყო და მატჩის დებიუტშივე ორი ბიჭი ლურჯი ბარათით გამოგვაკლდა. ისინი თავს კარგად გრძნობენ, თუმცა ტურნირზე ვეღარ ითამაშებენ.

საბოლოოდ ზელანდიელებმა 3:1 მოიგეს და მე-5 ადგილის ნახევარფინალში გადავინაცვლეთ. იქ მონაკოს 7-კაცა შეგვხვდა, რომელმაც თავის ჯგუფში უელსი ჩატოვა და 9:4 დავამარცხეთ. შედეგად, მე-5 ადგილის ფინალში ინგლისის სკოლას ვეთამაშებით.

15-წლამდელთა 7-კაცას სასკოლო მსოფლიო თასზე თამაშობენ: **ნიკოლოზ გოგუაძე (აკადემია), ილია გოგუაძე (აკადემია), ნიკოლოზ ჯანგულაშვილი (ლომები), საბა ცინცაძე (ხვამლი), გიორგი ირემაძე (ხვამლი), რევაზ ცხვედიანი (ხვამლი), გაბრიელ ჩიქოვანი (რაშები), დაჩი ოყროშიძე (რაშები), გიორგი გაბუნია (ლელო), საბა ჭინჭარაული (ლელო), ანდრია კუნჭულია (ლელო), გიორგი ხონელიძე (ლელო), თეოდორე სვანიძე (ბათუმი), ნიკოლოზ აბაკელია (სოხუმი), გიორგი ქევანიშვილი (აია).**

მთავარი მწვრთნელი: **გია ლაგაძე.**

მწვრთნელი: **ნიკოლოზ ჩიტალაძე.**

◎ უნდიალი-2023

სამსაჯო პანდემია

ფიბასა და ევროლიგას შორის კოვიდპანდემიის პარალელურად წარმოქმნილმა გაჯიანურებულმა კონფლიქტმა ხელი არამარტო ეროვნულ ნაკრებებში ვარსკვლავთა შეზღუდული ვადით გამოძახებას, არამედ ამუამად დასრულების სტადიაში გადასულ საკალათბურთო მსოფლიოს ჩემპიონატზე მომბივით გამსკდარ სამსაჯო სკანდალებსაც შეუწყო.

მიზეზი ბანალურია – პროტესტის ნიშნად იაპონიის, ინდონეზიისა და ფილიპინების დარბაზებში კვალიფიციურ ევროპელ არბიტრთა არყოფნამ საიუბილეო – მე-20 ფორუმის არაერთი მონაწილეს გამოათქმევინა საფუძვლიანი პრეტენზია შაოსანთა, რბილად რომ ვთქვათ, სადავო გადაწყვეტილებათა გამო, მათ შორის საქართველოს გუნდსაც, ხოლო ის, რაც ესპანეთისა და კანადის მერვედფინალის მესამე პერიოდში მოხდა, პირენეელებს საერთოდ ტიტულის დაკარგვად დაუჯდათ. არადა, თვით აზიური ტურნირი, აღნიშნული ფაქტორის გარდა, საყოველთაო აღიარებით ბრწყინვალედაა ორგანიზებული.

სხვათა შორის, დასახელებულ თემას გამოძახილი ათწლეულების წინანდელი წარსულიდანაც მოჰყვა, როცა თემიდის მსახურთა აშკარად მიკერძოებულ სტვენას ლეგენდარული არვიდას საბონისის ეპოქის მაშინდელი ლიტვა შეეწირა, რომელსაც ნბა-ს ვარსკვლავთკრებულთან ოლიმპიური პროგრამის შეხვედრა უაპელაციოდ წააგებინეს.

ამერიკელებთან ვენდეტას ბალტიისპირელთა რამდენიმე თაობა ელოდა და მათ ოცნებას ფრთები ამუამინდელმა ლიეტუვამ შეასხა, მაგრამ მეორე ჯგუფური ეტაპის დასკვნით ბრძოლაში პრინციპულ მეტოქესთან აღებულმა რევანშმა ფორუმის ერთ-ერთ ფავორიტს კბილები პირველივე პლეი-ოფში მოჰკვეთა – ვალანჩუნასმა და კამპანიამ ფეერიული სპექტაკლის დადგმის შემდეგ ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს. შედეგად, ბოგდანოვიჩმა, მილუტინოვმა, პეტრუსევმა, გუდურიჩმა და მათმა პარტნიორებმა იოკიჩის, კალინიჩისა და მიჩიჩის გარეშე მოთამაშე სერბეთს, რომელმაც, თავის მხრივ, საწყის რაუნდში იტალიასთან წაიფორხილა, გამოფიტულ მწვანეებთან შთამბეჭდავი გამარჯვება მოუტანეს – 87:68. ასე რომ, უამრავი თანამემამულე ტურისტით, ტრადიციულად, მხურვალედ მხარდაჭერილ ბალტიელებს მომავალში მწარე გაკვეთილად გამოადგებათ პრაგმატიზმის ღალატი.

იმავე დღეს ბრიჯესის, ბრანსონისა და ჰალიბარტონის კალიბრის კერკეტ კაკალთა ულიდერო ოკეანისგაღმელთა ანსამბლმა შელახულ თავმოყვარეობას სკუადრა აძურასთან მოულოდნელად იოლი გასეირნებით უმკურნალა – 100:63. არადა, ფონტეკიო, სპისუ, მელი, დატომე და ტონუტი პერიოდულად ბრწყინავდნენ ხოლმე...

დრამატულად განვითარდა მოვლენები აქამდე ერთადერთი დაუმარცხებელი გერმანიისა და სენსაციური ლატვიის მატჩში, რომელიც ბრიოდერის ამაზრზენად სუსტი თამაშის მიუხედავად, გორდონ ჰერბერტის შეგირდებმა 81:79 მოიგეს. ისიც სათქმელია, რომ მორიგი სპორტული გმირობის ჩადენა ლატვიას ამჯერადაც შეეძლო, მაგრამ საბედისწერო ბოლო შეტევის დროს ბერტანსმა, რომელმაც მანამდე რამდენიმე სამქულიანის ჩაგდებით თავისი ნაკრები ბრძოლაში დააბრუნა, იჩქარა და პერიმეტრიდან არაზუსტი ტყორცნა შეასრულა.

რაც შეეხება უკანასკნელ მეოთხედფინალს, მისი ბედი დასკვნითი მეოთხედის სტარტზე გადაწყდა, როცა მეორე ტექნიკური შენიშვნის მიღებით ლუკა დონჩიჩმა სლოვენია დააობლა. ბუნებრივია, ალექსანდერს, ბრუქსს, ბარეტს და ნბა-ს ბინადარ დანარჩენ მოტივირებულ სხვა ნეკერჩხლის ფოთლებს აღარ გასჭირვებიათ კანადის არნახულ სიმაღლეზე აყვანა – 100:89.

მაშ ასე, დღეს ნახევარფინალებია: აშშ – სერბეთი და გერმანია – კანადა. საინტერესოა, ევროპა თუ ამერიკა?

◎ ფიცარნაგზე

მიშველიძის ბრინჯაო



საუდის არაბეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც პარიზის 2024 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების ქულებიც თამაშდება, შოთა მიშველიძემ (61 კგ.) საქართველოს ნაკრებს პირველი მედალი მოუტანა.

ქართველმა ძალოსანმა მთავარი მწვრთნელის გიორგი ასანიძის ხელმძღვანელობით ატაცში 132/136 კგ. დაძლია და ბრინჯაოს მოპოვება შეძლო.

მან აკვრაში თავი 156/161 კილოგრამს გაართვა და მე-13 საფეხური ერგო, მიშველიძემ ორჭიდში მოგროვილი 297 კილოგრამით კი მე-4 ადგილი დაიკავა.

◎ კვარცხლბეკზე

ქართული დუბლი

სამხრეთ კორეაში მიმდინარე მსოფლიო თასზე პარა ფარიკაობაში ნინა თიბილაშვილმა ვერცხლი და ირმა ხეცურიანმა ბრინჯაო მოიპოვეს.

ბუსანში მიმდინარე ტურნირზე ხმლით ასპარეზობაში თიბილაშვილმა მეოთხედფინალში იაპონელ შინო კავაის მოუგო ანგარიშით 15:6, ნახევარფინალში დაამარცხა იტალიელი ლორედანა ტრიჯილიასი 15:7, ფინალური ბრძოლა პოლონელ კინგა დროჟდთან დათმო ანგარიშით 15:9 და ვერცხლის მფლობელი გახდა.

შეგახსენებთ, რომ ამავე ტურნირზე ნინა თიბილაშვილმა რაპირით ასპარეზობაში ბრინჯაოს მედალი აიღო.

იმავე დღესვე, ირმა ხეცურიანმა ხმლით ფარიკაობაში ბრინჯაო მოიპოვა. ხეცურიანმა მერვედფინალში კორეელი პარამოფარიკავე დაამარცხა ანგარიშით 15:2, მეოთხედფინალში უკრაინელ მოწინააღმდეგესთან 15:14 იმარჯვა, ნახევარფინალში უნგრელ მეცო ბოლგარკასთან ანგარიშით 9:15 დათმო ბრძოლა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

2023 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტები ცნობილია

განათლების კოალიციის ინიციატივით მიმდინარე „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ კონკურსის ფარგლებში 2023 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტები დასახელდნენ, რომელთაგან ერთ-ერთი 5 ოქტომბერს მასწავლებლის საერთაშორისო დღეს, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდება. ინფორმაციას „ლიბერთი ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

„გარდა ამისა, მას, ფულადი პრიზის სახით, კამპანიის გენერალური სპონსორისგან – „გუდავაძე-პატარკაციშვილის“ ფონდისგან 15 000 ლარი გადაეცემა. საუკეთესო ათეულის დანარჩენ წევრებს ლიბერთი ბანკი დააჯილდოებს.

2023 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტები, კონკურსის მხარდამჭერებმა დაასახელეს. ესენი არიან:

ქამრან აფანდიევი, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოჯორნის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი;

ინა იმედაშვილი, თბილისის UG სკოლის დაწყებითი საფეხურის და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

მარინე კვარაცხელია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

ნინო ნიპარიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის შპს „ბესიკ ნიპარიშვილი“ მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის მე და საზოგადოების, მოქალაქეობის და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;

ნინო ფსუტური, გორის №8 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო განათლების კოალიციის, განათლების და მეცნიერების სამინისტროს და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის 13 მაისს დაწესდა. აღნიშნული ინიციატივა საქართველოში უკვე მეშვიდედ ხორციელდება და ის მასწავლებელთა პოპულარიზაციისკენ მიმართული გლობალური კამპანიის – „The Global Teacher Prize“ ნაწილია.

კონკურსის გენერალური სპონსორია გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი, ოქროს სპონსორები არიან ლიბერთი ბანკი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპონსორები არიან: EPAM Georgia, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (ctg) და ალტე უნივერსიტეტი, ხოლო ჯილდოს მხარდამჭერები არიან: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, პირველი არხი/ტელესკოლა და ციფრული-კრეატიული სააგენტო „მავერიკი“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

შვეიცარიაში მყინვარები უპრეცედენტო სისწრაფით დნება

ქვეყნის მყინვარების მონიტორინგის სამსახურის ცნობით, მხოლოდ ერთ ლოკაციაზე ყინულის სიმაღლემ ორი მეტრით იკლო.

მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, შვეიცარიაში და მთლიანად ევროპის კონტინენტზე რეკორდულად ცხელი ზაფხულის გამო, ყინულის დნობის მაღალი მაჩვენებელი დასტურდება. 2023 წლის სრულ და ზუსტ მონაცემებს სექტემბრის ბოლოს შეადგენენ, თუმცა შვეიცარიელი მეტეოროლოგები პროგნოზირებენ, რომ მყინვარების დნობის წლევანდელმა სტატისტიკამ შესაძლოა 2022 წლის მონაცემებს გადააჭარბოს. გასულ წელს კი ამ მხრივ, ბოლო ათწლეულის რეკორდი დადასტურდა.

2023 წლის ზაფხული ამინდზე დაკვირვების ისტორიაში ყველაზე ცხელი აღმოჩნდა

2023 წლის ზაფხულში ჰაერის საშუალო ტემპერატურამ მსოფლიოში 16,77 გრადუს ცელსიუსს მიაღწია, რაც ნორმაზე 0,66 გრადუსით მაღალია. მონაცემებს ევროპის კლიმატის ცვლილების კონტროლის სამსახური „კოპერნიკი“ აქვეყნებს.

ახალი მონაცემების თანახმად, წლევანდელი ზაფხული მეტეოდაკვირვების ისტორიაში ყველაზე ცხელი აღმოჩნდა.

აგვისტოში ჰაერის საშუალო ტემპერატურამ ამ თვის რეკორდს 0,31 გრადუსით გადააჭარბა, თუმცა წლის ყველაზე ცხელი თვე ივლისი გახდა. ამასთან, მეცნიერებმა დააფიქსირეს ანომალიურად მაღალი ტემპერატურა ოკეანეებში, სადაც წყლის ზედაპირი საშუალოდ 20,98 გრადუსამდე გათბა, რაც ასევე რეკორდული მაჩვენებელია.

ტემპერატურის მატებას ნალექის რაოდენობაზეც ჰქონდა გავლენა. **ამგვარად, დასავლეთ ევროპის, აშშ-ის, აზიის, ჩილეს, ბრაზილიის, თურქეთისა და ავსტრალიის დიდ ნაწილებში ნალექის რაოდენობამ ნორმას მნიშვნელოვნად გადააჭარბა. სკანდინავიისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, კანადასა და აშშ-ის სამხრეთში კი ზაფხული უჩვეულოდ მშრალი აღმოჩნდა, რამაც ტყის მასობრივი ხანძრები გამოიწვია.**

ხანძრის შემდეგ არნახული წყალდიდობა!..

საბერძნეთში ძლიერი წვიმის და წყალდიდობის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა.

მედიის ცნობით, სამი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ამავე ინფორმაციით, ძლიერმა წვიმამ მეწყერი გამოიწვია. დაინგრა ხიდები, წაქცეულია ელექტროგადამცემი ბოძები. გარდა ამისა, მიმდინარეობს სამაშველო ოპერაცია სამი დაკარგულის მოსაძებნად.

სიკვდილი მთებში

თუშეთში უგედური შემთხვევის შედეგად ტურისტი დაიღუპა. როგორც bvtlbytoc-ს ადგილობრივებმა აცნობეს, ახალგაზრდა კაცი მოტოციკლით მგზავრობდა, რა დროსაც ის სიმაღლიდან გადავარდა. მომხდარის შესახებ 112-ს მეგობრებმა შეატყობინეს.

სამაშველო ჯგუფები ადგილზე დროულად გამოცხადდნენ, თუმცა ტურისტს სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმები ჰქონდა და ის ადგილზე დაიღუპა.

სულთათანა

ნანა ჟორდანია

გარდაიცვალა შესანიშნავი ქალბატონი — დედა და ბებია, დიდი ოჯახის ბურჯი, მეუღლე, პურპროდუქტების დარგის გამორჩეული პროფესიონალი ნანა ჟორდანია-კაჭარავასი.

უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდგომ შრომითი საქმიანობა ყოფილი თბილისის №3 პურის ქარხანაში (ვერაზე) დაიწყო მიკრობიოლოგად, შემდგომ ინჟინერ-ტექნოლოგად (ცვლის უფროსად).

მოწესრიგებული თავაზიანი და მაღალი რანგის ინჟინერ ტექნოლოგი გახდა. სწორედ აქ გაიცნო მომავალი მეუღლე, რომელიც შემდგომ თბილისის პურის მრეწველობას ხელმძღვანელობდა გენერალური დირექტორის რანგში. მათ ჭეშმარიტად ქართული ოჯახი შექმნეს, შეეძინათ ოთხი შვილი. ქალბატონი ნანა შემდგომ წლებში საქართველოს კვების მრეწველობის ხარისხის ინსპექციაში პურპროდუქტების განხრით ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ამ ბედნიერ ოჯახს, სამწუხაროდ 2004 წელს ტრაგიკულად გარდაეცვალა ქალიშვილი და ამან აუნაზღაურებელი დარტყმა მიაყენა მას და მთლიანად კაჭარავების ოჯახს, ჯანმრთელობა შეულახა შვილებსა და მეუღლეზე მზრუნველ ნანას.

ტკივილი, რომელიც დედისთვის ძალზე რთულია, მართალია, შვილებმა და შვილიშვილებმა ერთგვარი დარდი შეუმსუბუქეს, მაგრამ... ეს ტკივილი, ეს სევდა დარჩა სამუდამოდ.

ვემშვიდობებით ამ დიდებულ ქალბატონს, ვუსამძიმრებთ ოჯახს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

საქართველოს პურპროდუქტების სამინისტროს სახელით,

იური ოსიპოვი,

მინისტრის ყოფილი მოადგილე,

წარსულში №3 პურის ქარხნის დირექტორი;

მალხაზ დოლიძე,

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი უსამძიმრებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის თანაშემწეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს ომარ კაჭარავას შესანიშნავი მეუღლის

ნანა ჟორდანიას

გარდაცვალების გამო.

თბილისის №4 პურის ქარხნის კოლექტივი უსამძიმრებს ქარხნის ყოფილ დირექტორს, ბატონ ომარ კაჭარავას მეუღლის

ნანა ჟორდანიას

გარდაცვალების გამო.

გივი აბდუშელიშვილი, ვალერი ასათიანი, მერაბ ახობაძე, გიზო ბაქანიძე, თამაზ გაბუნია, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, სანდრო დიდებულიძე, თემურ თოფურიძე, მიხეილ, ჯემალ, გიზო კუხალაშვილები, ალიკო კობაიძე, გიორგი სალუქვაძე, დავით სალარიძე, გრიგოლ შონია, მანანა ქაცარავა-ბერიძე, ოთარ ჭითანავა, მირზა ქორქაშვილი, გივი ჯაფარიძე თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს ომარ კაჭარავას, შვილებს — გიორგის, დავითს, ლევანს, უსაყვარლესი, უსათნოესი, უნიჭიერესი, უკეთილშობილესი და უძვირფასესი მეუღლის და დედის

ნანა ჟორდანიას

გარდაცვალების გამო.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული ზეციურ საქართველოში

სტუმართმოყვარე იმერეთი ინდოელებისთვის აღმოჩენა გახდა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, გამოცემის ჟურნალისტმა კაპლანა სუნდერმა საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრესტურის ფარგლებში იმოგზაურა. ჟურნალისტი საქართველოს ინდოეთის უმსხვილესი ავიაკომპანიის „Air Indigo" პირველი პირდაპირი ავიარეისით ესტუმრა.

დელი-თბილისი-დელის მიმართულებით კვირაში ფრენები სამჯერ სრულდება. პრეს-ტურის მიზანია ინდოეთში საქართველოს ცნობადობის ამაღლება და საქართველოში ტურისტული ნაკადების გაზრდა.



„მევრი მოგზაურისთვის ქუთაისი მხოლოდ დროებითი გასაჩერებელი ადგილია, მაგრამ ეს ქალაქი გაცილებით მეტ შესწავლას იმსახურებს. ქუთაისის ცენტრში საოცარ კოლხურ შადრევანს იხილავთ. ლურჯ მოზაიკურ კვარცხლბეკზე ოცდაათი მოოქრული ფიგურაა, რომლებიც ვანის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი უძველესი არტეფაქტების მიხედვით აეწყო: ლომები, ირმები, ცხენები და სხვ.

შუა საუკუნეების საქართველოს დედაქალაქი ქრისტიანობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო მე-11 და მე-12 საუკუნეებში. ქალაქში უამრავ ეკლესიას აღმოაჩენთ. ქუთაისის მწვანე ბაზრის კედელზე გამოკვეთილია კოლხეთის სამეფოს, მედეას, იასონისა და ოქროს საწმისის სცენები. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ეს ოქროს მიწა იყო. აქ იყიდება იმერული ყველი, ჩურჩხელა, სახლში დამზადებული სუნელები და უამრავი სხვა პროდუქტი", – წერს სტატიის ავტორი და ქუთაისთან ერთად იმერეთის სხვა ტურისტულ ადგილებს და იმერულ სამზარეულოს აღწერს.

„ქუთაისი იუნესკოს ძეგლებით, მონასტრებითა და მღვიმეებით არის გარშემორტყმული. 1106 წელს აშენებულ გელათის მონასტერში სწავლულთა აკადემია დაარსდა. აქ თქვენ იხილავთ ბიზანტიური სტილის ფრესკებს. გელათთან ახლოს მოწამეთას მონასტერია, რომელიც ხეობას გადაჰყურებს. აქ მდებარეობს ქრისტიანობისთვის წამებული ორი ძმის, დავითისა და კონსტანტინეს საფლავები. ქუთაისთან ახლოს აღმოაჩენთ თეთრას მღვიმეს, რომელიც კირქვით არის გაუღენთილი. მღვიმე ღვინის შესანახად გამოდგებოდა, რაც მის უნიკალურობაზე მეტყველებს. თეთრას მღვიმეს სამკურნალო ფუნქციაც აქვს. ამ მღვიმეში მოხვედრა განსაკუთრებით სასარგებლოა ბრონქული ასთმის მქონე ადამიანებისთვის", – წერს კაპლანა სუნდერა.

The New Indian Express ინდოეთში ყოველდღიურად 600 ათასი ტირაჟით იბეჭდება, სოციალურ ქსელებში კი 4 მილიონამდე გამომწერი ჰყავს.

წმინდანი ძმების საღამო წმ. ბარბარეს ტაძარში

წმინდა ბარბარეს ტაძარში ძმები კარბელაშვილებისთვის მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ვიდეო პრეზენტაციები, სადაც საუბარი შეეხებოდა სტეფანე კარბელაშვილის ღვაწლს.

ძმებმა რთული პერიოდის მიუხედავად, საკმაოდ დიდი კვალი დატოვეს ქართულ გალობაში. ეკლესიის ეზოში წარმოდგენილი იყო ძმების ფოტოარქივი. საღამოები საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერით ხორციელდება. ღონისძიება ემსახურება წმინდანების ცხოვრებისა და ღვაწლის გაცნობას საქართველოს მოქალაქეებისთვის.

ყოფილი სანატორიუმი - მაღალი კლასის სასტუმრო კომპლექსი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის, კურორტ ცემს მაღალი კლასის სასტუმრო კომპლექსი შეემატება და ახალი ტურისტული მიზიდულობის კერა შეიქმნება. ყოფილი სანატორიუმი „მზიურის" სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 37,09%-იანი წილი, ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, 1 მლნ ლარად საკუთრებაში შპს „მზიურს" გადასცა.

საინვესტიციო პირობების მიხედვით, ახალი სასტუმრო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, არანაკლებ 7 500 000 ლარის ინვესტიცია განხორციელდება. აქ 75 ნომრიანი სასტუმრო, ღია საცურაო აუზი, ავტოსადგომი და სპორტული მოედნები აშენდება. „სანატორიუმი მზიური" გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ფუნქციონირებდა და მისი მდებარეობიდან გამომდინარე წარმოადგენდა უნიკალურ გამაჯანსაღებელ კურორტს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ვიზიტორებისთვის.

აღმოჩენილია იუდეის უდაბნოს გამოქვაბულის საგანძური

ისრაელში, ენ გედის ნაკრძალში არსებული გამოქვაბულის ერთ-ერთ ნაპრალში, 1900 წლის წინანდელი 4 რომაული ხმლისა და საველე იარაღის, შესტოპერის (შენიშვნა: წარმოადგენს სახელურზე დამაგრებულ ექვს სიმეტრიულ ბურთულას) სამალავი აღმოაჩინეს, რომელსაც ისრაელის სიძველეების სამმართველოს მკვლევარებმა გამოქვაბულის შესწავლისას მიაგნეს.

ხმლები კარგად არის შემონახული. მკვლევარების ვარაუდით, ისინი ბარ კოხბას აჯანყების დროს (132-135 წ.წ.) გადამალეს ამბოხებულებმა. გამოქვაბულში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილია ენეოლითის ხანისა (დაახლოებით 6000 წლის წინ) და რომაული პერი-

ოდის (დაახლოებით 2000 წლის წინ) სხვა არტეფაქტებიც. კერძოდ, გამოქვაბულის შესასვლელთან ნაპოვნია ბარ კოხბას ეპოქის ბრინჯაოს მონეტა, რაც, შესაძლოა, იმ დროზე მიუთითებდეს, როდესაც გამოქვაბული იარაღის სამალავად გამოიყენებოდა. რომის იმპერიის წინააღმდეგ იუდეის ებრაელთა აჯანყება, სიმონ ბარ კოხბას მეთაურობით, 132 წელს დაიწყო და სწრაფად გავრცელდა მთელ იუდეაში.

უნიკალური ავტომობილის სამი ეგზემპლარიდან ერთ-ერთი გაიყიდა

თურქული „გალათასარაის" არგენტინელმა ფორვარდმა მაურო იკარდიმ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილი შეიძინა. 30 წლის ფეხბურთელმა „როლს-როისში" 26 მილიონი ევრო გადაიხადა.

მსოფლიოში „ნავის კუდად" (Boat Tail) წოდებული მოდელის მხოლოდ სამი ეგზემპლარი არსებობს. ერთი მათგანი რეპერ jay-Z-ის, მეორე კი უცნობ ბიზნესმენს ეკუთვნის, რომელმაც დიდძალი ქონება მარგალიტის ინდუსტრიაში დააგროვა. როგორც Daily Mail-ი აღნიშნავს, „ნავის კუდის" ყველა დეტალი ადამიანის ხელით კეთდება და ერთი ავტომობილის აწყობას 4 წელი სჭირდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა"
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 11 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6251; ევრო - 2.8112;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2706;
100 რუბლი - 2.6813; თურქული ლირა - 0.0979;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5452;
1000 სომხური დრამი - 6.8087

ამინდი 8 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე	+15, დღე +28
მთიანი რაიონები -	ღამე	+10, დღე +22
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე	+17, დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე	+14, დღე +27
თბილისი:	ღამე	+20, დღე +28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge